ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 11 თებერვალი, 2016 №34 (6960) ფასი: 50 თეთრი

11 თებერვლიდან
„ახალ თაობასთან“ ერთად
ადამიანები, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო
სტალინი
ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი



ნაწილი I

ლევან გაჩეჩილაძის მაესტროს დირექტორად დარეგისტრირება შეჩერდა

გვ.2

ბაია გადაბაძემ გაფიცვა შეწყვიტა

საჯარო რეესტრმა მიიღო გადაწყვეტილება 30 კალენდარული დღის ვადით წარმოების შეჩერების შესახებ, რომლის განმავლობაშიც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს უნდა წარედგინოს სასამართლოს მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება სარჩელის უზრუნველყოფის საკითხთან დაკავშირებით.

გია ხუხაშვილი: „ირაკლი რუხაძემ სერიოზული შეცდომა დაუშვა“

„გაჩეჩილაძეების ხელში მაესტრო საინტერესო ტელევიზია იქნება“

გვ.4

მერია 80.000 ლარის ჭიკარტებს, ფლომასტერებს და საშლელებს ყიდულობს

გვ.3

„უფასო სასადილოებში ბენეფიციარებს ძველ პურს აჭმევენ“

ISSN 1987-9385

გვ.3

ირაკლი სესიაშვილი: „ნატოში ზოგიერთები ფიქრობენ, რომ მაპი რუსეთს გააღიზიანებს“

ანზორ აბრალავა: „მაესტროს გარშემო მიმდინარე მოვლენებს ხელოვნურად ამწვავებენ“

გვ.4

მაგთიკომი
MAGTICOM

კომპანია „მაგთიკომი“ განცხადებას ავრცელებს.
სატელეკომუნიკაციო კომპანიაში აღნიშნავენ, რომ 2015 წლის ნოემბრის შემდეგ კომპანია „კავკასუს ონლაინთან“ მოლაპარაკებებს არ აწარმოებენ.

ლევან გაჩეჩილაძის მაესტროს დირექტორად დარეგისტრირება შეჩერდა

გუშინ, 10 თებერვალს, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ ლევან გაჩეჩილაძის მაესტროს დირექტორად დარეგისტრირების საკითხი შეაჩერა.

უწყების განმარტებით, საჯარო რეესტრმა წარმოება 30 კალენდარული დღის ვადით, ეთერ (ბაია) გადაბაძის სარჩელის საფუძველზე შეაჩერა, რომელმაც სააგენტოს განცხადებით მიმართა, რომ სასამართლოში მიმდინარე დავის გადაწყვეტამდე შპს „სტუდია მაესტროს“ დირექტორის ცვლილება არ განხორციელდეს.

– 2016 წლის 9 თებერვალს 15 საათსა და 32 წუთზე, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ჩაბარდა ეთერ გადაბაძის განცხადება, რომლითაც მოქალაქემ მოითხოვა, რომ მის მიერ 5 თებერვალს სასამართლოში შეტანილი დავისა და სარჩელის უზრუნველყოფის მოთხოვნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე, შპს „სტუდია მაესტროს“ დირექტორის ცვლილება არ განხორციელდეს და ასეთი ცვლილების შესახებ განცხადების წარმოდგენის შემთხვევაში სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდეს, – ნათქვამია საჯარო რეესტრის განცხადებაში.

სარჩელის უზრუნველყოფის სახით, ბაია გადაბაძის მიერ სასამართლოში მოთხოვნილია, რომ დავის გადაწყვეტამდე აიკრძალოს შპს „სტუდია მაესტროს“ 2016 წლის 4 თებერვლის პარტნიორთა რიგგარეშე კრების ოქმის რეგისტრაცია დირექტორის თანამდებობიდან მისი გათავისუფლებისა და დირექტორად ლევან გაჩეჩილაძის დანიშვნის ნაწილში.

საჯარო რეესტრმა მიიღო გადაწყვეტილება 30 კალენდარული დღის ვადით წარმოების შეჩერების შესახებ, რომლის განმავლობაშიც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს უნდა წარედგინოს სასამართლოს მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება სარჩელის უზრუნველყოფის საკითხთან დაკავშირებით.

– მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი ეთერ გადაბაძის მიერ მოთხოვნილი აკრძალვის რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, როგორც ამას ითვალისწინებს კანონი, – ნათქვამია განცხადებაში.

საჯარო რეესტრში ამბობენ, რომ ლევან გაჩეჩილაძის მიერ, 2016 წლის 9 თებერვალს, 17 საათსა და 59 წუთზე საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილ იქნა განცხადება შპს „სტუდია მაესტროს“ დირექტორის ეთერ გადაბაძის გათავისუფლებისა და დირექტორად ლევან გაჩეჩილაძის დანიშვნის შესახებ. განცხადებას თან ახლდა კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები, მათ შორის 2016 წლის 4 თებერვლის პარტნიორთა რიგგარეშე კრების ოქმი.

– შესაბამისად, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ლ. გაჩეჩილაძის მიერ წარდგენილ იქნა მოთხოვნა, რომლის შინაარსიც ეწინააღმდეგება ე. გადაბაძის განცხადების მოთხოვნას, – ნათქვამია განცხადებაში.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად თუ მოთხოვნილია საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის რეგისტრაცია, ხოლო მისი რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე ასევე მოთხოვნილია რეგისტრაცია, რომელიც ეწინააღმდეგება აღნიშნული საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შინაარსს, ჯერ მიიღება საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის რეგისტრაციასთან დაკავშირებული შესაბამისი გადაწყვეტილება, ხოლო შემდეგ – გადაწყვეტილება სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სხვა უფლების შესახებ.

ბაია გადაბაძემ გაფიცვა შეწყვიტა

– კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით, სამეწარმეო რეესტრში ლევან გაჩეჩილაძის დირექტორად დარეგისტრირების თაობაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება წარმოების შეჩერების შესახებ, ე. გადაბაძის ზემოხსენებულ განცხადებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებამდე, – ნათქვამია საჯარო რეესტრის განცხადებაში.

◆ ◆ ◆

– საჯარო რეესტრის გადაწყვეტილება სამართლიანია და ეკუთვნის მაესტროს მთელ გუნდს, – განაცხადა ტელეკომპანია მაესტროს ერთ-ერთმა მფლობელმა მაკა ასათიანმა.

– მთავარი არის, რომ მშვიდ გარემოში მოგვეცემა მუშაობის საშუალება და პროცესები გადავა სამართლებრივ ჩარჩოებში. ეს გადაწყვეტილება სამართლიანია და ეკუთვნის „მაესტროს“ მთელ გუნდს, – განაცხადა მაკა ასათიანმა.

გუშინვე ბაია გადაბაძემ გაფიცვა შეწყვიტა.

– რეესტრმა მომცა 30-დღიანი ვადა. ვსარგებლობ 30-დღიანი ვადით კანონის ფარგლებში და ვაკეთებ ყველაფერს იმისთვის, რისთვისაც ვიბრძვი, ანუ მოვიპოვო სამართალი. გაფიცვა შევწყვიტე, რადგან ახლა მჭირდება გაორმაგებული ძალები, ვინაიდან ვასრულებ ჩემს უფლებამოსილებას. ამ 30 დღის ვადაში უნდა გაირკვეს, რეესტრი ლევან გაჩეჩილაძეს დაარეგისტრირებს თუ მე, – აღნიშნა ბაია გადაბაძემ.

მანვე საჯარო რეესტრში წარადგინა სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრების ასლი. გადაბაძის თქმით, ამის შესახებ რეესტრს ინფორმაცია მიაწოდა.

– სასამართლოს მივმართე იმიტომ, რომ პარტნიორთა კრების ოქმი არის უკანონო და ვაპროტესტებ ამას. წარვადგინე განცხადება, რომ გავასაჩივრე სასამართლოში და ამის საქმის კურსში ჩავაყენე რეესტრი, – განაცხადა გადაბაძემ.

მისივე თქმით, 19 თებერვალს „მაესტროს“ კრედიტორთა კრება გაიმართება.

◆ ◆ ◆

– საჯარო რეესტრის მხრიდან ლევან გაჩეჩილაძის რეგისტრაციის პროცესი სამი დღით შეჩერდა და ხვალ ლევან გაჩეჩილაძე ხელახლა მიმართავს დასარეგისტრირებლად რეესტრს, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ გაჩეჩილაძის ადვოკატმა ირაკლი კორძახიამ განუცხადა.

ადვოკატი განმარტავს, რომ რეგისტრაციის პროცესი სამი დღით შეჩერდა, რათა ბაია გადაბაძემ რეესტრს წარუდგინოს სასამართლოს განჩინება. საუბარია განჩინებაზე, რომლის მიხედვით, არ დაკმაყოფილდა ბაია გადაბაძის მოთხოვნა და მაესტროს პარტნიორთა კრების ოქმის მოქმედება არ შეწყდა.

– რეესტრმა სამი დღით შეაჩერა რეგისტრაციის პროცესი, რათა ბაია გადაბაძემ წარადგინოს სასამართლოს განჩინება. ჩვენ ამ განჩინებას ავიღებთ და ხვალვე წარვუდგენთ რეესტრს. სამ დღეში ისედაც მოიხსნება რეგისტრაციის პროცესის შეჩერების გადაწყვეტილება, – განაცხადა ირაკლი კორძახიამ.

ადვოკატის თქმით, ლევან გაჩეჩილაძე დირექტორად დარეგისტრირებამდე „მაესტროში“ მისვლას არ გეგმავს.

ჯეიმს კლაპერი: „საქართველომ, შესაძლოა, დასავლური ორიენტაცია შეიცვალოს“

ამერიკის დაზვერვის შეფის პროგნოზი რუსეთის საქართველოზე ზეწოლას ემყარება



– საქართველო რუსეთის ზეწოლის პირობებში სტრატეგიულ დასავლურ ორიენტაციას შეიცვლის.

ამის შესახებ აშშ-ის ეროვნული დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელის, ჯეიმს კლაპერის მოხსენებაშია აღნიშნული.

– მაშინაც კი, როდესაც საქართველო რეფორმებით პროგრესს განიცდის, მისი პოლიტიკა პოლიტიკური კონკურენციის ზრდის ფონზე მერყევი იქნება. ეკონომიკური გამოწვევები მთავრობისთვის მთავარი პოლიტიკური სისუსტე გახდება 2016 წლის არჩევნებამდე. საქართველოს ელიტებსა და საზოგადოებაში იმედგაცრუების ზრდა, დასავლეთთან ინტეგრაციის შენელებისა და ეფექტური რუსული პროპაგანდის ზრდასთან ერთად ზრდის იმის შესაძლებლობას, რომ თბილისმა შესაძლოა, შეანელოს ან შეწყვიტოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მცდელობები, – ამბობს ამერიკული დაზვერვის შეფი.

მისი აზრით, რუსეთთან დაძაბულობა კვლავ მაღალი იქნება.

– ჩვენი შეფასებით, მოსკოვი გაზრდის თბილისზე ზეწოლას იმისთვის, რომ საქართველომ ევროკავშირთან და ნატოსთან კავშირები შეწყვიტოს, – აღნიშნულია მოხსენებაში.

ამასთან, ანგარიშში წერია, რომ რუსეთის სურვილი, ფარულად გამოიყენოს სამხედრო ძალები მეზობელ ქვეყნებში, მის პერიფერიებზე მღელვარებას ზრდის.

◆ ◆ ◆

ჯეიმს კლაპერის შეფასებებს გუშინვე გამოეხმაურნენ თბილისში.

– აშშ-ის დაზვერვის უფროსის პოზიცია მნიშვნელოვანი და დროულია, – განაცხადა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ ივლიანე ხაინდრავამ.

ხაინდრავა ამბობს, რომ კლაპერი მოუწოდებს დასავლეთის ლიდერებს, გაზარდონ ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის ტემპი, რათა საფუძველი გამოაცალონ რუსეთის მიზანმიმართულ

მცდელობებს, შეაფერხოს ნატოსა და ევროკავშირთან საქართველოს დაახლოების პროცესი.

– ამიტომ საქართველოს, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების პარტნიორისა და მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ფუნქციის მქონე ქვეყნის მოხვედრა ამ ანგარიშში სრულიად ბუნებრივი და ლოგიკურია, – აცხადებს ივლიანე ხაინდრავა.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ეკა ბესელია კი თვლის, რომ საქართველოს დასავლური ორიენტაციიდან არასდროს გადაუხვევია.

ბესელიას თქმით, ამ მხრივ კითხვები საქართველოს არც ერთ პარტნიორ ქვეყანას, მათ შორის, არც აშშ-ს არ უჩნდება.

– არასოდეს, არც ერთ ევროპულ სტრუქტურას და ჩვენს არც ერთ ევროპელ მეგობარ, პარტნიორ ქვეყანას არ უთქვამს, რომ საქართველომ გადაუხვია გზას. საქართველოს ყველა ჩვენი ევროპელი თუ დასავლელი პარტნიორი, მათ შორის სახელმწიფო დეპარტამენტი და აშშ აძლევს ძალიან ღია და მკაფიო, მაღალ შეფასებას და არავის ამ მხრივ კითხვები არ უჩნდება, – აცხადებს ეკა ბესელია.

შსს-მ მკვლელობის ფაქტი გახსნა

შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს და ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1987 წელს დაბადებული გიორგი ქ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით, ხოლო 1986 წელს დაბადებული ჯამბულატ დ. დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დააკავეს.

შს სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ გიორგი ქ.-მ მიმდინარე წლის 9 თებერვალს, გამთენიისას, თბილისში, პეტრიწის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, ურთიერთშელაპარაკებისას, ცივი იარაღით გულმკერდის არეში დაჭრა 1987 წელს დაბადებული მინდია ბ., რომელიც საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

ბრალდებული და ჯამბულატ დ., რომელიც გარდაცვლილს თან ახლდა და დანაშაულს შეესწრო, შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

ჯამბულატ დ.-მ მომხდარი ფაქტის შესახებ პოლიციას არ შეატყობინა და ქვეყნის დატოვებას შეეცადა.

სამართალდამცველებმა ჯამბულატ დ. მომხდარიდან რამდენიმე საათში, თბილისში, ხოლო გიორგი ქ. მეორე დღეს, საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდაში დააკავეს.

გამოძიება განზრახ მკვლელობისა და დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტებზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 108-ე და 376-ე მუხლებით).

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

მერია 80.000 ლარის ჭიკარტებს, ფლომასტერებს და საშლელებს ყიდულობს

შორენა მარსაგიშვილი

„უფასო სასადილოებში ბენეფიციარებს ძველ პურს აჭმევენ“

დედაქალაქის მერია თბილისელების გაოცებას განაგრძობს. ნარმანიას სამწყსომ ახალი გამაოგნებელი ტენდერი გამოაცხადა. რაში სჭირდებათ მერიაში 80.000 ლარის ჭიკარტები და მარკერები, რამდენს იხდიან „ხლაპუშკებში“, ვინ ყიდულობს 6 კამფორიან ღუმელს, რა ხდება უფასო სასადილოებში? ამის შესახებ „ახალ თაობას“ არასამთავრობო ორგანიზაცია „მედიატორის“ ხელმძღვანელი ლევან ხაბეიშვილი ესაუბრება.

ლევან ხაბეიშვილი:

– „მედიატორი“ მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერების მონიტორინგსაც ახორციელებს და ყოველ ჯერზე სიურპრიზებს ვაწყდებით. ჩვენ უკვე გესაუბრეთ იმასთან დაკავშირებით, რომ მერიამ 20.000 ლარის გვირგვინების და თაიგულების შესაძენად ტენდერი გამოაცხადა. ახლა უკეთესს გეტყვით, 21-ე საუკუნეში ნარმანია 80.000 ლარის ღირებულების ჭიკარტების, საშლელების და ფლომასტერების შეძენას აპირებს.

– 80.000 ლარის ჭიკარტი რაში უნდა გამოიყენოს?

– მარტო ჭიკარტების შეძენას არ აპირებენ, ამ 80.000-ით საშლელები, მარკერები, ფლომასტერები უნდა იყიდონ. გასაგებია, რომ საკანცელარიო ნივთები საჭიროა, მაგრამ ამხელა ციფრი ეჭვს ბადებს. დედაქალაქის მერიაში საქმის წარმოება, შიდა დოკუმენტაციაც კი გადასულია ელექტრონულ ფორმაზე. იქ ფურცლომანია, ჭიკარტი და ფლომასტერი ცოტა უხერხულია.

ამაზე არანაკლებ საინტერესოა მორიგი ტენდერი, რომელიც 6 კამფორიანი ღუმლის შეძენას გულისხმობს. ვერ მივხვდი, რაში სჭირდებათ ეს ღუმელი. ბევრი ფიქრის შემდეგ იმ დასკვნამდე მივედი, რომ ალბათ გასამზითებელი გვყავს ნარმანია და ამ მიზნით 4.500 ლარიანი ღუმელი უნდა ვუყიდოთ. ეს ხუმრობით, სერიოზულად კი ეჭვი მაქვს, რომ ეს ღუმელი იმ კაფეტერიაში დამონტაჟდება, რომელიც მერიის შენობაში გაიხსნა.

– აქამდე არ ჰქონდათ ღუმელი?

– ამ კაფეტერიის გარემონტებაში თავის დროზე დიდი თანხები დაიხარჯა. საუბარია დაახლოებით 200.000 ლარზე. კარგი ინვენტარიც შეიძინეს, მაგრამ ეტყობა გაუფუჭდათ ღუმელი ან დამატებით 6 კამფორიანიც მოუნდათ.

კიდევ უფრო საინტერესო ტენდერიც არის. მერიამ 45.000 ლარის ღირებულების „ხლაპუშკებსა“ და ფეიერვერკებზე გამოაცხადა ტენდერი. ვერ გავიგე, რა ეფიერვერკებათ და არც ის ვიცი, რა უნდა აღნიშნონ.

– დოკუმენტაციაში არ წერია, როდის უნდა გაისროლონ ეს „ხლაპუშკები“?

– ამის შესახებ მითითებული არ არის. უცნობია, რისთვის ასაწყობებენ ამ ასაფეთქებლებს და არც ის ვიცით, როდის უნდა „იხლაპუშკონ“.

მარტო მიმდინარე წელს უამრავი სულელური ტენდერი გამოაცხადეს, რაშიც მილიონობით ლარი მიდის. ამას ჩვენი ჯიბეებიდან ამოღებული ფულით აკეთებენ. იმის მაგივრად, რომ პასუხი აგებინონ ვინმეს, ყოველი თვის ბოლოს ნარმანია და მისი გუნდი პრემიებს იწერენ. განსაკუთრებული მადა გამოამჟღავნეს დეკემბრის თვეში. მაშინ მარტო მათმა პრემიამ და დანამატმა 2.200.000 ლარი შეადგინა. ამას დაუმატეთ რამდენიმე მილიონი მაგათი ხელფასი. გამოდის, რომ მათ ხარკს ვუხდით.

ჭიკარტომანიით შეპყრობილ მერიას კიდევ ერთხელ შევახსენებ მინიმუმ 5 მიმართულებას, რითაც უნდა იყვნენ დაკავებულები:

1. მიხედონ საგზაო ინფრასტრუქტურას; 2. დაინტერესდნენ ავარიული კორპუსებით და მათი ბედით; 3. შეიმუშაონ გეგმა, რომელიც განმუხტავს დედაქალაქში საცობებს ანუ მიხედონ შემოვლითი რკინიგზის პროექტს და ასევე იზრუნონ ახალი ხიდებისა და ესტაკადების მშენებლობაზე; 4. განაახლონ საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რომელიც მოძველებულია და 5. სოციალური მიმართულებით დაუღალავად იშრომონ, რომ კი არ იმატებდეს ბენეფიციარების რაოდენობა 1,18 ლარიან სასადილოებში, არამედ თავად ჰქონდეთ ამ ადამიანებს იმის საშუალება, რომ თავიანთი თავი გამოკვებონ.

კარგი იქნება თუ მერიის სათანადო სამსახურები იმასაც მიხედავენ, რომ საბავშვო ბაღებში აყროლებულ ხორცს სხვა პროდუქტებთან ერთად ინახავენ.

– რა ხორცზე საუბრობთ, შეგიძლიათ კონკრეტული მაგალითი მოიყვანოთ:?

– 2016 წლის 27 იანვარს ღორის გრიპის პრევენციისთვის დედაქალაქის საბავშვო ბაღებში სწავლა შეწყდა. იმავე დღეს თბილისის 159-მა საბავშვო ბაღმა მიიღო ხორცი. საშუალოდ თითო ბაღმა 30 კილოგრამი. მთლიანობაში 4.770 კგ გამოდის. მისი შეძენა 33.300 ლარი დაჯდა. 1 კილოგრამი ხორცი 7 ლარად ვიანგარიშე.

ეს ხორცი განკუთვნილი იყო 28 იანვრისთვის, მაგრამ სწავლა შეწყდა. მას შემდეგ თითქმის ორი კვირა გავიდა და ის გამოუყენებელი ხორცი, რომელიც აყროლდა, ბაღების უმრავლესობაში ისევ საწყობში, სხვა ახალ საკვებთან ერთად აქვთ შენახული.

მივმართავ მერიას, ჯერ 4.770 კილო ხორცი რომ ააყროლეთ და 33.000 ლარზე მეტი წყალში გადაყარეთ, ამდენი მოშიმშილე ადამიანის ფონზე ამიტომ ხართ იდიოტები! მეორე ამბავია, რომ აყროლებულ ხორცთან ერთად სხვა ჯანმრთელ პროდუქტებს ინახავთ, რაც ფაქტობრივად ანტისანიტარიაა.

– „მედიატორი“ უფასო სასადილოებში აპირებთ მონიტორინგის განხორციელებას. ეს გადაწყვეტილება რატომ მიიღეთ, რაიმე ინფორმაციები შემოგივიდათ?

– ჩვენ გვინდა იმის გადამოწმება, თუ რამდენად ჰიგიენური ნორმების დაცვით ხდება საკვების მომზადება. რამდენიმე სასადილო დავათვალიერეთ და ერთი შეხედვით გვგონია, რომ იქ ნანახი არ შეესაბამება არსებულ სტანდარტებს. საუბარია იმ სტანდარტებზე, რომლებიც სურსათის ეროვნულ სააგენტოს აქვს.

ახლა ვიწყებთ სერიოზულ მონიტორინგს და მალე დავდებთ კონკრეტულ დასკვნებს. ეს საკითხი ძალიან საინტერესო უნდა იყოს.

როგორც ვიცით, დედაქალაქის მერიას ამ ადამიანების გამოკვება სულ რაღაც 1 ლარი და 18 თეთრი უჯდება და ამასაც თუ ნორმალურად არ ვაჭმევთ, მთლად კატასტროფა იქნება.

ჩვენ რამდენიმე ადგილას გავესაუბრეთ ბენეფიციარებს. ყველა ერთი და იგივეს ამბობს. აღნიშნავენ, რომ ძველ პურს აჭმევენ.

– ძველ პურში რა იგულისხმება?

– წინა დღის პური. წინა დღის პური უფრო იაფად იყიდება. ეტყობა, ასე ყიდულობენ ძველ პურს და უფრო იაფად გამოდიან. არის კიდევ ბევრი პრობლემა და ეს ყველაფერი უნდა შევისწავლოთ.

მნიშვნელოვანია, მონიტორინგი განხორციელდეს საჯარო სამსახურებიდან ხალხის დათხოვნაზე. ასეთ ფაქტებს ხშირად აქვს ადგილი. „მედიატორი“ ამ მიმართულებით სხვა ზომების მიღებასაც აპირებს. ჩვენ ვამუშავებთ საკანონმდებლო ინიციატივას, რომელიც ეხება საჯარო სამსახურიდან უკანონო დათხოვნას.

გვაქვს ინიციატივა, რომ თანამდებობის პირი, რომელიც უკანონოდ გაათავისუფლებს საჯარო მოხელეს და ამას სასამართლოც დაადასტურებს 2 ან მეტ შემთხვევას, თავად იქნეს დათხოვნილი და აეკრძალოს გარკვეული დროით საჯარო სამსახურში მუშაობა.

ასობით საჯარო მოხელეა გათავისუფლებული უკანონოდ. მიუხედავად სასამართლოს გამამართლებელი განაჩენებისა, „მოძალადე“ და კანონდამრღვევი ჩინოსნები კვლავ თანამდებობებზე არიან და არ არსებობს რეალურად ამის შემაკავებელი კანონი.

მივმართავთ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომ შემოუერთდნენ ჩვენს ინიციატივას და ერთად ავლაგმოთ მოძალადე ჩინოსნები.

ირაკლი სესიაშვილი: „ნატოში ზოგიერთები ფიქრობენ, რომ მაპი რუსეთს გაალიზიანებს“

ნათია ხურცილავა

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ მაპი იგივეა, რაც ყოველწლიური სამოქმედო გეგმა, რომელიც აქვს საქართველოს, როგორც ნატოს ასპირანტ ქვეყანას.

– ბატონო ირაკლი, მიუხედავად ჯეიმს აპატურაის განცხადებისა, რომ ამ ეტაპზე მაპი არ იქნება, რა მოლოდინები შეიძლება ქართულ მხარეს ჰქონდეს ნატოსგან?

– სურათი ძალიან მკაფიოდ არის გამოკვეთილი და ეს კარგია.

– როგორია ეს სურათი?

– ჩვენ ნატოსგან გვაქვს ყველა საჭირო პრაქტიკული ინსტრუმენტი ნატოს წევრობისთვის მოსამზადებლად. ნატოს გენერალური მდივნის ციტირებას ვახდენ. ყოველწლიური სამოქმედო პროგრამა, რომელიც გვაქვს, შინაარსით იგივეა, რაც მაპი, უბრალოდ, მას ჰქვია ყოველწლიური სამოქმედო პროგრამა და ჩვენც მივყვებით ამ პროგრამას და ვახორციელებთ რეფორმებს.

მიუხედავად იმისა, რომ მაპი არის პრაქტიკული ინსტრუმენტი ნატოში წევრობის მოსამზადებლად, პირველ რიგში, მას პოლიტიკური დატვირთვა აქვს საქართველოს შემთხვევაში, რადგან, სამწუხაროდ, რუსეთი ამას აღიქვამს, მისი ნაციონალური ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებად.

– ამას ამბობს კიდეც რუსეთი, რომ ის არ დაუშვებს მისი საზღვრების სიახლოვეს ნატოს გაფართოებას.

– ამიტომ ნატო ჩვენ გვეუბნება, რომ პრაქტიკულ ნაწილში უნდა გავაგრძელოთ იმ ნაბიჯების გადადგმა, როლებიც ქვეყანას სჭირდება ნატოში გაწევრიანების გზაზე და როგორც კი დადგება ის საერთაშორისო პოლიტიკური მოცემულობა, როდესაც საქართველოსთვის მაპის მინიჭება ანუ პოლიტიკური გადაწყვეტილება არ იქნება სერიოზული რისკების მატარებელი, მაპსაც მივიღებთ და ნატოს წევრიც გავხდებით. ამ დროს ჩვენ წევრობისთვისაც მზად ვიქნებით.

არიან ქვეყნები, რომლებსაც მაპი ჰქონდათ მთელი 10 წლის განმავლობაში და მათ ეს დრო დასჭირდათ საიმისოდ, რომ ნატოს წევრები გამხდარიყვნენ. ეს ქვეყნები ამ 10 წლის განმავლობაში აკეთებდნენ იმას, რასაც ჩვენ რამდენიმე წელია ვაკეთებთ. სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, როდესაც პოლიტიკური მზაობა იქნება და ჩვენ მაპს მოგვცემენ, 10 წელი კი არ მოგვიწევს ლოდინი, შეიძლება მომდევნო სამიტზე წევრობა შემოგვთავაზონ. მაპიდან შეიძლება წევრობამდე მხოლოდ 6 თვე დაგვჭირდეს, ჩვენ უკვე მზად ვიყოთ წევრობისთვის.

– ჯეიმს აპატურაი ამბობს, რომ მაპი შეიძლება სახიფათოც კი იყოს ამ ეტაპზე საქართველოსთვის. რატომ?

– ნატოში ზოგიერთები ფიქრობენ, რომ ბუქარესტის სამიტმა რუსეთის პროვოცირება მოახდინა და მან აგრესიული ნაბიჯი გადადგა ჩვენ წინააღმდეგ. ჩვენ შეიძლება ამას არ ვეთანხმებით, რომ თუკი საქართველოს მაპს მისცემენ, რუსეთი მაშინვე აგრესიით გამოხატავს თავის დამოკიდებულებას, მაგრამ ზოგიერთები ასე ფიქრობენ.

ჩვენ ნატო პარტნიორი ქვეყნების რჩევის გათვალისწინებას გვთავაზობს, რადგან მაპის მინიჭებამ, როგორც პოლიტიკურმა გადაწყვეტილებამ, შეიძლება გარკვეული რისკები წარმოქმნას საქართველოს წინააღმდეგ. ამიტომ ნატო ცდილობს საქართველოს მაქსიმალურ დატვირთვას პრაქტიკულ ნაწილში.

ასევე ის ზრუნავს ჩვენი თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებაზე, იმ რეფორმების განხორციელებაზე, რომლებიც აუცილებელია წევრობისთვის. საქართველო მზად უნდა იყოს იმისთვის, რომ როგორც კი საერთაშორისო პოლიტიკური მოცემულობა იქნება, ჩვენ ნატოს წევრი ქვეყანა გავხდებით. ეს არის ნატოს მკაფიოდ ჩამოყალიბებული გზავნილი, რაც აქამდე არ გვქონია. ეს არის ჩვენთვის საგზაო რუკა.

– ბატონო ირაკლი, თქვენ საერთაშორისო პოლიტიკური მოცემულობა ახსენეთ. რა შეიძლება ისეთი საერთაშორისო მოცემულობა იყოს, რომ ჩვენ გავხდეთ ნატოს წევრი?

– უამრავი მაგალითია მსოფლიოში ასეთი მოცემულობის: მაგალითად, მსოფლიო ისტორიისთვის წარმოუდგენელი იყო საბჭოთა კავშირის დაშლა, მაგრამ დაიშალა. ასევე წარმოუდგენელი იყო, საბჭოთა კავშირს ჯარი გაეყვანა ავღანეთიდან და გაიყვანა. სრულიად წარმოუდგენელი იყო ბალტიისპირეთის ნატოში გაწევრიანება და ეს მოხდა. ბევრი რამ წარმოუდგენელი იყო, მაგრამ მოხდა.

მიუხედავად ამისა, მხოლოდ ამაზე არ უნდა ვიყოთ დამოკიდებული, არსებობს ჩვენი გზაც. არ უნდა ვიყოთ მხოლოდ იმაზე დამოკიდებული, რუსეთი შეცვლის თუ არა თავის პოლიტიკას. ჩვენ საკუთარ თავზე უნდა ვიფიქროთ, უნდა გავძლიერდეთ ისე, მათ შორის ეკონომიკურად, სამხედრო პოტენციალით, რომ პრევენციულად ჩვენ საკუთარი თავის დაცვა შევძლოთ, რომ მოწინააღმდეგემ არ იფიქროს თავდასხმა. ეს შეიძლება დღევანდელი გადმოსახედიდან რთულია, მაგრამ აქეთკენ უნდა ვიაროთ. უნდა ვიყოთ პროაქტიული და საერთაშორისო პოლიტიკაში ჩვენი ადგილი უნდა ვიპოვოთ.

– ვარშავის სამიტიდან რას ველოდებით? რა პრაქტიკული მოთხოვნა ან შეთავაზება ექნება ჩვენს მთავრობას?

– ჩვენ ვცდილობთ, რომ ეს სამიტები გამოვიყენოთ ჩვენთვის პრაქტიკულ ნაწილებში შედეგების მოტანის კუთხით. ამ სამიტებზე ჩვენი მიზანი შედეგების მიღებაა. აქცენტებს ვაკეთებთ თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებაზე და იმაზე, რომ მაქსიმალურად დავუახლოვდეთ ნატოს.

მაგალითად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ შავი ზღვის უსაფრთხოების მიმართულებით გადავდგათ ნაბიჯები, ამაზე აქცენტი გააკეთა ჩვენმა თავდაცვის მინისტრმა და ეს მნიშვნელოვანია. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ნატო-საქართველოს ცენტრი გავაძლიეროთ და ის რეგიონალური ცენტრი გავხადოთ, სადაც მოვამზადებთ ჩვენს ჯარისკაცებს, წვრთნებს ჩავატარებთ, თანამედროვე ტექნიკას შევიძენთ და ა.შ.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

გია ხუხაშვილი: „ირაკლი რუხაძემ სერიოზული შეცდომა დაუშვა“

ნონა ცაბაძე

ექსპერტი გია ხუხაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ტელეკომპანია მაესტროს ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს აფასებს.

„გაჩეჩილაძეების ხელში მაესტრო საინტერესო ტელევიზია იქნება“

– ბატონო გია, ძალიან ჩაიხლართა სიტუაცია მაესტროს ირგვლივ. როგორია თქვენი შეფასებები, რა ხდება? გადავიდა პროცესი პოლიტიკურ ჭრილში?

– ბუნებრივია, როდესაც საკითხი ეხება მედიას, აქ პოლიტიკა წინა პლანზე მოდის. სამწუხაროდ, მხარეებიც ამისთვის ყველაფერს აკეთებენ.

– რისთვის, რომ პოლიტიკური ელფერი შესძინონ?

– დიახ, რომ მოხდეს თემის პოლიტიზირება. თუმცა, მე როგორც ვხედავ, პოლიტიკა არ არის წამყვანი ამ საკითხში. მე არ მგონია, რომ ეს იყოს ხელისუფლების მხრიდან დაგეგმილი ოპერაცია. თუ რაღაცნაირად ვიღაცა ცდილობს, რომ მოახდინოს პოლიტიკური კაპიტალიზაცია, ანუ შეთავაზება, ეს უფრო მოდის ქვემოდან ზემოთ და ხელისუფლება ამის ინიციატორი არ არის.

– ანუ ხელისუფლებას მაესტროსთან დაკავშირებით ინტერესი არ აქვს?

– დიახ. თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ ვიღაც ცდილობს, რომ ხელისუფლებასთან მოახდინოს ამ თემით თავისი ბიზნესის კაპიტალიზაცია. სამწუხაროდ, საქართველოში ხომ ასეა მიღებული, ყველაზე კარგი ბიზნესი არის ხელისუფლებასთან მეგობრობა. ამ შემთხვევაშიც ასეთი შთაბეჭდილება იქმნება.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ის ციფრები, რაც ჩვენ ვნახეთ, სრული აბსურდია. ბრძოლა მიდის ვალისთვის. ანუ ვინ გადაიხდის 54 მილიონ ვალს. არადა, კომერციული ლოგიკით, მხარეები ერთმანეთს უნდა ეხვწებოდნენ, რომ არა შენ გადაიწერე ეს ვალი და არა შენო. აქ კი ერთმანეთს ეჩხუბებიან იმაზე, თუ ვინ გადაიხდის ამ 54 მილიონს. არსებული ინფორმაციით, ამ პასივის გარდა, ამ კომპანიაში არაფერი ჩანს. მაშინ რისთვის მიდის ეს ბრძოლა?!

– თქვენი აზრით, რისთვის?

– ეს აბსოლუტურად გაუგებარია, მაგრამ შედეგი არის სავალალო. იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ვინც ზარალდება ამაში, ეს არის თქვენი კოლეგები და სარედაქციო დამოუკიდებლობა. ამ კავკასიურ ცარცის წრეში, რომელიც „დიდი სიყვარულის სახელით“ ბავშვს აქედან და იქიდან ექაჩება.

– ვინ არის ბავშვი ამ შემთხვევაში?

– ამ შემთხვევაში ბავშვი არის მაესტროს რედაქცია. ამ სიყვარულით შეიძლება ბავშვი შეიწირონ და თვითონაც ვერაფერი მიიღონ. როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, მე ვერ ვხედავ აქ გამარჯვებულ მხარეს, თუ მხარეებმა ვერ მოახერხეს საღი აზრის მოხმობა და სამართლის და მაესტროს რედაქციის ერთმანეთისგან გამიჯვნა.

რაღაცნაირად უნდა მოახერხონ, ან მემორანდუმი შექმნან ან აქტი, რომ სანამ მიდის სამართლებრივი პროცესი, მაესტრომ მშვიდ ვითარებაში გაგრძელოს მუშაობა. ეს არის ერთადერთი გამოსავალი. როდესაც ტემპერატურა ასე აწეულია, ვინც არ უნდა გაიმარჯვოს, შეიძლება გამარჯვებულს ცარიელი ადგილი შერჩეს ხელში, იმდენად დაინგრეს ის რეალური სიკეთე, რასაც წარმოადგენს ეს ტელევიზია.

– საზოგადოებაში აზრი ორად გაიყო, ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ თუ ძმები გაჩეჩილაძეები შევლენ მაესტროში და ხელში აიღებენ მმართველობას, მივიღებთ იმედი 2-ს. ხოლო თუ ეს ხელმძღვანელობა დარჩება, მაესტრო იქნება რუსთავი 2-ის დანამატი. რატომ ჩნდება ასეთი შეფასებები და რამდენად რეალურია ისინი?

– მე მგონი, ორივე გადაჭარბებული შეფასებაა. ძმებ გაჩეჩილაძეებს აქვთ იმხელა კვალიფიკაცია, რომ მიხვდნენ – თუ პროპაგანდად იქცა ტელევიზია, მისი ნდობა ვერ იქნება. შესაბამისად, სიკეთესაც ვერაფერს მიიღებენ. ტელევიზია აღარ იქნება ყურებადი.

ასევე მე მაესტროში ვერ ვხედავდი იმ სიმპტომებს, რომ ისინი გადახრას აკეთებდნენ ნაციონალური მოძრაობისკენ და მათდამი განსაკუთრებულ სიმპათიებს გამოხატავდნენ. მით უმეტეს, რომ მაესტრო, ტრადიციულად, ყოველთვის იყო ოპოზიციური.

როდესაც ასეთი განწყობა იქმნება, რაც თქვენ ბრძანეთ, ეს სავსებით შეგნებულად იქმნება.

– რატომ, ვის სჭირდება?

– ეს ნიშნავს იმას, რომ პროცესი საბოლოო ჯამში გადავიდა პოლიტიკაში. რეალურად მე ვერ ვხედავ ამ სურათს. ხელოვნურად გადაჰყავთ ამ სურათში, რომ თუ ასე მოხდა, ეს იქნება ნაციონალური მოძრაობის რუპორი და თუ ისე – ხელისუფლების რუპორი. ამ დროს ამის არანაირი საფუძველი, არანაირი ლოგიკა არ არის!

მეტსაც გეტყვით, ეს დავა რომ მშვიდ ვითარებაში განვითარდეს, მე ვერ ვხედავ საინფორმაციო პოლიტიკაში განსაკუთრებული ცვლილებების აუცილებლობას.

– ვის ხელშიც არ უნდა აღმოჩნდეს ის?

– დიახ, ვის ხელშიც არ უნდა აღმოჩნდეს ტელევიზია. უბრალოდ, სხვადასხვა ხედვებია, გაჩეჩილაძეებს აქვთ სხვაგვარი ხედვა და ისინი საკმაოდ კრეატიული ადამიანები არიან, მათ ხელში მაესტრო უინტერესო არანაირად არ იქნება, საკმაოდ საინტერესო ტელევიზია შეიძლება გაკეთდეს.

მთავარი ფასეულობა იქ არის სარედაქციო დამოუკიდებლობა! თუ გაჩნდა განცდა, რომ სარედაქციო დამოუკიდებლობა დაიკარგა და პოლიტიკური გავლენა, ან ერთი, ან მეორე მხრიდან შევიდა, ტელევიზია ფასს დაკარგავს! მას ღირებულება აღარ ექნება და მაშინ რისთვის იბრძვიან, ეს საერთოდ გაუგებარია!

– ირაკლი რუხაძის პერსონაზე რას იტყოდით, რა უნდა მას, რა ინტერესები აქვს? ამბობენ, რომ შესაძლოა ამჟამინდელი პრემიერიც შეცვალოს.

– ეს ყველაფერი გადაჭარბებულია და შეთქმულების თეორიებია. მე ირაკლი რუხაძეს ვიცნობ, ვიცნობ როგორც ადამიანს, რომელიც ბადრის ოჯახთან თანამშრომლობდა და ეხმარებოდა მათ ამ რთული წლების განმავლობაში. ამისთვის მე ჩემ წილ მადლობას გადავუხდიდი.

ხოლო ამ დღეებში მისი საჯარო გამოჩენა, სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა. თავის საჯარო გამოსვლებში სერიოზული შეცდომები დაუშვა.

– კონკრეტულად რას გულისხმობთ?

– ანუ, ერთი მხრივ, ის ამტკიცებს, რომ მან უბრალოდ ფული ასესხა და მეტი კავშირი ამ თემასთან არ აქვს და მეორე მხრივ, ლაპარაკობს თავის მუდმივ საუბრებზე კოტე გოგელიასთან ყიდვა-გაყიდვაზე.

– ანუ აქ სხვა ინტერესი იკვეთება?

– მე არა მგონია, რომ ასე იყოს. უბრალოდ, ირაკლი რუხაძის ფიგურის განსაკუთრებულად წამოწევა გადაჭარბებულია. ის არის ერთი ჩვეულებრივი ადამიანი, რომელსაც აქვს თავისი კომერციული გათვლები. მე პოლიტიკაში ასეთ ადამიანებს ვერ ვხედავ. თუნდაც მის ასეთ წინააღმდეგობრივ ქმედებებში ჩანს, რომ ის არ არის პოლიტიკოსი. პოლიტიკა არ არის მისი საქმე.

– რატომ არ არის?

– ასეთი შეცდომა არ უნდა დაუშვა. ბუნებრივია, რომ ეს მეორე მხარის მიერ იქნება გამოყენებული. როდესაც მეორე მხარის მთავარი ხაზი არის, რომ გაჩეჩილაძეები არიან ნომინალურები და რეალურად რუხაძემ იყიდა და ცდილობენ ამ თვალთმაქცურ ჭრილში გადაიყვანონ პროცესი, შენ არ უნდა გამოდიოდე და არ უნდა ამბობდე, რომ კოტე გოგელიასთან ყიდვა-გაყიდვაზე გქონდა საუბრები.

ეს ხომ მარტივი ლოგიკაა? ადამიანმა ისიც კი ვერ შეძლო, რომ სწორად დაელაგებინა თავისი ტექსტები

და ასეთი ადამიანი პოლიტიკაში როგორ უნდა შემოვიდეს?! ალბათ თვითონაც ნანობს, რომ ამ ყულფში გაყო თავი. თუმცა ვერაფერს ვეღარ იზამს.

– ანუ არ გამორიცხავთ, რომ გოგელიას და რუხაძეს შორის მართლაც მიდიოდა საუბარი წილის გაყიდვაზე?

– ეს ადამიანები არიან ბიზნესმენები და გამორიცხული არაფერია. ყველასთვის კარგი იყო, რომ ეს საუბრები ისევ ბიზნესენაზე გაგრძელებულიყო და არ მომხდარიყო ეს პროცესები. დღეს ჯერ კიდევ არის იმის შესაძლებლობა, რომ ეს ყველაფერი ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს.

– ამისთვის რა არის საჭირო?

– ის, რომ მხარეები წავიდნენ სამართლებრივი გზით. პოლიტიკური განცხადებები აღარ გააკეთონ და იარონ სამართლის გზით. მაესტრომ კი იმუშაოს ისე, როგორც აქამდე მუშაობდა.

– საკმაოდ ხანგრძლივი და რთული პროცესი იქნება სასამართლოს და სამართლებრივი გზით წასვლა, რამდენად დაემორჩილებიან ამ გზას მხარეები?

– ძნელი სათქმელია. ორივე მხრიდან აქტიური პერსონაჟები გვყავს, რომლებსაც არ სჩვევიათ უკანდახევა. საკმაოდ შემტევები არიან და ამიტომ გამიჭირდება ოპტიმისტური პროგნოზის გაკეთება. თუმცა ვთხოვდი მათ, რომ ჯობია, ცივი გონებით და საღი აზრით წაიყვანონ ეს ყველაფერი და საბოლოო ჯამში არ შეიყვანონ ისეთ ჩიხში, როდესაც ორივე მხარე დაზარალდება. ამის შანსი კი დღეს არის ძალიან მაღალი.

ეს არის ბრძოლა, რომელშიც მოგებულს ვერ ვხედავ!

ანზორ აბრალავა: „მაესტროს გარშემო მიმდინარე მოვლენებს ხელოვნურად ამწვავებენ“

მარიამ მჭედლიშვილი

ტელეკომპანია მაესტროსთან დაკავშირებული პროცესები გრძელდება. ყოფილი დეპუტატი, ორგანიზაცია „სოლიდარობის“ თავმჯდომარე ანზორ აბრალავა „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში გამოთქვამს მოსაზრებას, რომ გარკვეული ძალები ცდილობენ, პოლიტიკური ელფერი მისცენ ამ მოვლენებს.

„პროსტიტუცია, ნარკომანია და კრიმინალი ქართული სატელევიზიო სივრცის მთავარი თემებია“

ანზორ აბრალავა:

– მაესტროს მოწილეები ერთმანეთის მიმართ არ აკეთებენ მძაფრ განცხადებებს. სიტუაციას ამწვავებენ სხვები, რომლებიც ცდილობენ გარედან გაამწვავონ ვითარება და ეს თემა თავისთვის გამოიყენონ.

– უცხოელი პარტნიორები რას დაინახავენ ამ პროცესებში?

– ჯერჯერობით, ჩვენი დასავლელი პარტნიორებისაგან ამ თემაზე საგანგებო და განსაკუთრებული არაფერი მოგვისმენია. იყო ზოგადი განცხადებები დემოკრატიულობის აუცილებლობაზე. ასეთი ზოგადი განცხადებები მუდმივად კეთდება. ყველაფერს დაინტერესებული პირები და ჯგუფები ამუქებენ. ეტყობა, უნდათ, რომ ქვეყანაში სიტუაცია დაიძაბოს.

– სიტუაცია სხვა თემებითაც იძაბება. პარლამენტის უმრავლესობის წარმომადგენლები ირწმუნებიან, კონსტიტუციაში ჩავწერთ, რომ ქორწინება ქალისა და კაცის ერთობაა. ამით წერტილი უნდა დაესვას ერთსქესიანთა ქორწინებების დაკანონებას. როგორ შევა კონსტიტუციაში ეს ჩანაწერი, თუ საკონსტიტუციო უმრავლესობა არ არსებობს?

– მე პრობლემას სხვა რამეში ვხედავ. რომც გაკეთდეს კონსტიტუციაში ასეთი ჩანაწერი, ამაზე დიდი ამბავი ატყდება. არ მოისვენებენ ის არასამთავრობო ორგანიზაციები და ტელეარხები, რომლებიც ხალხის ტვინის გამორეცხვით არიან დაკავებული. ისინი იყვირებენ, რომ შეილახა გარკვეული ჯგუფების ინტერესები. საერთოდ, ტელევიზიების უმრავლესობაში რაც ხდება, საგანგაშოა. ისინი მაყურებელს უნერგავენ დამახინჯებულ აზროვნებას. პირდაპირ ხდება მანკიერებების პროპაგანდირება. ამ ტელევიზიების მთავარი და მოსაწონი მიმართულებებია პროსტიტუცია, ნარკომანია და კრიმინალი. ამ და სხვა თემებზე მსჯელობისას სიტყვას არ აძლევენ მეორე მხარეს. სამაგიეროდ, ბურთი და მოედანი ხელში აქვთ ჩაგდებული იმათ, ვისთვისაც მოსაწონია მანკიერებები და ანომალიები. ანომალია ცხოვრებაში ხდება, მაგრამ არ შეიძლება მისი აფიშირება და მთავარ თემებად გამოტანა. საკმარისია, ვინმემ ამ საკითხებზე კრიტიკული აზრი გამოთქვას, რომ ისე დაესხმებიან თავს, როგორც გოგი თოფაძეს მისი გამოსვლის შემდეგ.

– გოგი თოფაძემ არაკორექტულობა გამოიჩინა, თანაც, არა მარტო პრეზიდენტის მიმართ.

– ვეთანხმები იმას, რომ გოგი თოფაძემ არასწორი მიწოდების ფორმა გამოიყენა. ამ ფორმის გამო ჩრდილში მოექცა პრეზიდენტის მიუღებელი გამონათქვამები, რომელიც მან თავის ნაშრომში გადმოსცა. თოფაძეს პირდაპირ უნდა წაეკითხა ციტატები მარგველაშვილის 15 წლის წინანდელი „ნიჩურტადან“ და ეთქვა, ამ სიტყვების ავტორი თქვენ წინაშეაო. ახლა ეს თემაც გახდა იმ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ექსპერტების საჯაჟიოტაჟო საგანი, რომლებიც ხალხს ცნობიერებას უცვლიან. ეს ჯგუფები ხშირად ანტისახელმწიფოებრივად მოქმედებენ.

– მთავარია, ანტისახელმწიფოებრივი ძალები პარლამენტში არ მოხვდნენ.

– პარლამენტში ვერ მოხვდება იმ პოლიტიკური ძალების უმრავლესობა, რომელიც დღეს ბევრს აქტიურობს.

– ვის გულისხმობთ?

– თუნდაც, არასაპარლამენტო ოპოზიციას. მათგან ცოტას აქვს არჩევნებში გამარჯვების შანსი. მათი აქტიურობის ღერძი პრეზიდენტი გახდა.

– პრეზიდენტი მათ საარჩევნო საკითხებზე ხვდება.

– საუბედუროდ, ეს უსაგნო შეხვედრებია ფიქრია ჩიხრაძის რჩევის საფუძველზე. ან რა ცვლილებებია საარჩევნო კანონმდებლობაში? რას მიაღწიეს ამ პარტიებმა? ამ ეტაპზე არ ისმის მთლიანად პროპორციული წესით პარლამენტის არჩევის მოთხოვნა. ხელისუფლების ადგილზე პროპორციულ სისტემას ამ არჩევნებისათვის შემოვიღებდი და არ შემოვიტანდი მაჟორიტარული ოლქების გამოთანაბრების წესს. ეს წესი ბევრ სირთულეს ქმნის. ზოგს პარლამენტი მაჟორიტარების გარეშე ვერ წარმოუდგენია. არადა, პროპორციულ, ანუ პარტიულ არჩევნებში არაფერია მიუღებელი. მაგალითისთვის, თუ ამომრჩეველი მხარს უჭერს ივანიშვილს, ის ხმას მისცემს მის პოლიტიკურ ძალას. უბედურება ისაა, რომ დღევანდელი პოლიტიკური პარტიები სრულ სტაგნაციაში არიან. ამიტომ საჭიროა მათი შეცვლა.

დიმიტრი ხუნდაძე: „ფსიქოტროპული აფთიაქის გახსნა გამკაცრდება“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძე აცხადებს, რომ ხელისუფლების ნარკოპოლიტიკა წარმატებულია. თუმცა, ჩვენს რეგიონში ვერასოდეს მიაღწევენ იმას, რომ ნარკოპოლიტიკა საჭირო აღარ იყოს.

– ელექტრონული რეცეპტები გვაძლევს საშუალებას, გარკვეული ანალიზი გავაკეთოთ და თვალყური ვადევნოთ, როგორ და რა ინტენსივობით ხდება ერთი და იგივე პრეპარატების ერთი და იგივე ექიმის მიერ დანიშვნა. ეს არ არის ჩასაფრება, უბრალოდ, ანალიზის გაკეთების საუკეთესო საშუალებაა. როდესაც ექიმი მთელი ცხოვრება აკვიატებულად ერთი და იგივე წამალს ნიშნავს, იქ კითხვის ნიშნები გაჩნდება, – განაცხადა დიმიტრი ხუნდაძემ.

მას მიაჩნია, რომ მოქალაქეობრივი ვალი საზოგადოებამ და ფარმაცევტულმა ბაზარმაც უნდა აღასრულონ.

– ფსიქოტროპულ პრეპარატებზე გავამკაცრეთ ჯარიმა და პირველ შემთხვევაზე 6 ათასი ლარი გავხადეთ. მეორე შემთხვევაზე 6 ათასი იყო და 12 ათასი გავხადეთ, მაგრამ იმდენი აქვთ შემოსავალი, ამ ჯარიმის გადახდა უღირთ. მეორედ ჯარიმაც არ ფიქსირდება, – აღნიშნავს დიმიტრი ხუნდაძე.

– რატომ არ ფიქსირდება მეორე შემთხვევაში ჯარიმა?

– გამოსავალი ნახეს – ხელახალ რეგისტრაციას აკეთებენ. ამიტომ ახლა კიდევ ვამზადებთ კანონპროექტს.

– სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრებაზე ხომ არ იქნება საუბარი მეორე-მესამე დარღვევაზე, რომ ვერ გააკეთონ ახალი რეგისტრაცია?

– ახლა კიდევ ვამზადებთ კანონპროექტს და გეოგრაფიული გადანაწილებით განისაზღვრება ფსიქოტროპული აფთიაქების საჭიროება. ახალი აფთიაქის გახსნა იქნება გამკაცრებული რეგულაციითა და დასაბუთებით.

თუკი, ვთქვათ, ერთი და იგივე პიროვნებაა და ფაქტები განმეორდა, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრება.

დიმიტრი ხუნდაძე ამბობს, რომ 2013 წელს არის ნარკოტიკით გარდაცვალების 52 შემთხვევა, 2014 წელს არის 12 შემთხვევა, 2015 წელს კი არც ერთი შემთხვევა არ არის.

– თუმცა, ახლა მოიგონეს წიწვები, წიწვებს ხარშავენ. ახალი გზა მოძებნეს. სისტემა რომ გავამკაცრეთ, თურქეთ-საქართველოს საზღვრის გადაკვეთა ნარკოტიკების მოხმარების მიზნით 3-ჯერ არის გაზრდილი, ანუ თურქეთში გადადიან, იკეთებენ ნარკოტიკებს და გადმოდიან, – ამბობს დეპუტატი.

– ნარკომომხმარებლების მკურნალობა პრობლემას არ უშველის?

– ნარკომომხმარებლების მხოლოდ მკურნალობა საკმარისი არ არის. ამ პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი მექანიზმია სპორტულ-გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურის განვითარება რეგიონებში.

საფრანგეთში 1 ევრო დაამატეს ჯანსაღი ცხოვრების წესისთვის ბიუჯეტიდან და ჯანდაცვაში 12 ევრო ეკონომია ნახეს თითოეულ მოსახლეზე. ანალიზი უნდა გავაკეთოთ და ისე ვიმოქმედოთ. მაგალითად, ჩვენ სოციალურ პროგრამას ვაკეთებთ, მაგრამ არ ვიცით, რას ვღებულობთ.

– ნარკოტიკის მოხმარება რეგიონებში უფრო მაღალია თუ ქალაქებში?

– ნარკოტიკების მოხმარების ყველაზე მაღალი მაჩვენებელია სამეგრელოში, ზუგდიდში.

– რით ახსნით ნარკოტიკების მოხმარების ყველაზე მაღალ მაჩვენებელს ზუგდიდში?

– აფხაზეთში ნარკოტიკების კუთხით აბსოლუტური უკონტროლობით.

– ნარკომოხმარების თვალსაზრისით, ოკუპირებულ რეგიონებში რა მდგომარეობაა?

– ოკუპირებულ რეგიონებში ჩვენი იურისდიქცია არ ვრცელდება. თუმცა, დააკვირდით, ოკუპაციის ზოლისპირა რეგიონში ნარკოტიკების მოხმარების ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

კახა სოფრომაძე: „მამუკა ახვლედიანის მიმართ დისციპლინური დევნა დაწყებული არ არის“

მამუკა ახვლედიანი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის, კახა სოფრომაძის ინფორმაციით, ამ ეტაპზე საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მამუკა ახვლედიანის მიმართ დისციპლინური დევნა არ არის დაწყებული.

როგორც უმაღლესი საბჭოს წევრმა, კახა სოფრომაძემ განმარტა, მას აქვს ინფორმაცია, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში შესულია მიმართვა სავარაუდო დარღვევის შესახებ, თუმცა რას უკავშირდება მამუკა ახვლედიანის მხრიდან სავარაუდო დარღვევა, არ იცის.

სოფრომაძის თქმით, ამ პროცედურებში აჟიოტაჟის საფუძველს ვერ ხედავს, რადგანაც ხშირია იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მსგავსი მიმართვები მოსამართლეებზე.

კახა სოფრომაძის თქმით, მან არ იცის, თუ ვინ შეიტანა შესაბამისი მიმართვა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში.

კახა სოფრომაძე

კახა სოფრომაძე:

– არანაირი დისციპლინური დევნა ჯერჯერობით მამუკა ახვლედიანთან მიმართებაში დაწყებული არ არის. არსებობს პროცედურები. ამ ეტაპზე არის შესაბამისი მიმართვა იუსტიციის უმაღლეს საბჭოზე, რომ სავარაუდო დარღვევას აქვს ადგილი.

იუსტიციის საბჭოს უმაღლესი მდივანი იკვლევს, არის თუ არა ეს დარღვევა და გარკვეული დროის შემდეგ ის უნდა გამოვიდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე და იუსტიციის საბჭომ უნდა გადაწყვიტოს მიემართოს თუ არა დისციპლინურ კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მამუკა ახვლედიანის წინააღმდეგ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დისციპლინური დევნა დაიწყო.

აღნიშნულ ინფორმაციას სააგენტო „აიპრესი“ მამუკა ახვლედიანზე დაყრდნობით ავრცელებს. ახვლედიანი აცხადებს, რომ ამის მიზეზი მის მიერ ბოლო დროს გაკეთებული განცხადებები გახდა.

ინტერპრესნიუსი

ციხისძირში, ხეების გადარგვის საწინააღმდეგო აქციაზე, ხუთი პირი დააკავეს

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირში, ასწლოვანი ხეების გადარგვის საწინააღმდეგო აქციაზე ხუთი პირი დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი ადგილიდან იუწყება, დაკავებულებს შორის სამი „პარტიზანი მებაღე“, ორი კი „ნაციონალური მოძრაობის“ წევრია.

„პარტიზანი მებაღეები“ პოლიციამ იმ დროს აიყვანა, როდესაც ისინი ტრაქტორის კოვშში ჩასხდნენ და კომპანია „ზიმოს“ თანამშრომლებს სამუშაოების წარმოების საშუალება არ მისცეს. „ნაციონალური მოძრაობის წევრები კი, პოლიციასთან შეკამათებისთვის დააკავეს.

როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი პეტრე ზამბახიძე აცხადებს, რამდენიმე პირის დაკავების მიუხედავად აქციას განაგრძობენ.

რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს, უწყების ინფორმაციით, ოთხი პირის დაკავება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით მოხდა, რაც სამართალდამცველი ორგანოს თანამშრომლისთვის კანონიერ მოთხოვნაზე წინააღმდეგობის გაწევას გულისხმობს.

„პარტიზანი მებაღეები“ და „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები ციხისძირის ყოფილი სანერგე მეურნეობიდან ასწლოვანი ხეების გადარგვას აპროტესტებენ. ხეების დასაცავად მათ რამდენიმე დღის წინ კარვებიც გაშალეს და სადღეღამისო მორიგეობა დააწესეს.

ინტერპრესნიუსი

არასამთავრობოები 12 მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებას მოითხოვენ

კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ 12 მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებას მოითხოვს.

კოალიციის წარმომადგენლებმა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში შესაბამისი განცხადება გუშინ შეიტანეს.

როგორც კოალიციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, აღნიშნულმა მოსამართლეებმა თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის, მამუკა ახვლედიანის მიმართ გამოთქვეს არაჯანსაღი კრიტიკა და გააკეთეს არაეთიკური განცხადებები, რის გამოც მათ მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება უნდა დაიწყოს.

საუბარია ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 8 მოსამართლეზე, რომლებმაც მამუკა ახვლედიანის საპასუხოდ გაავრცელეს განცხადება და იმ 4 მოსამართლეზე, რომლებმაც კოალიციის წევრების თქმით, სასამართლოს შიდა ქსელში გამართეს მიმოწერა ახვლედიანის წინააღმდეგ.

– კოალიცია მიმართავს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და მოითხოვს ცალკეული მოსამართლეების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებას იმისთვის, რომ საბჭომ გამოარკვიოს ხომ არ ჰქონდა მათ ქმედებაში არაეთიკურ ქცევას ადგილი.

საბჭო ძალიან აქტიურად ცდილობს მამუკა ახვლედიანის ქმედებაში ეთიკის ნორმების დარღვევის აღმოჩენას და მის წინააღმდეგ დაწყებულია დისციპლინური სამართალწარმოება. იმისთვის, რომ საბჭომ აჩვენოს, თანმიმდევრულია აღნიშნული მოსამართლეების მიმართ უნდა დაიწყოს დისციპლინური სამართალწარმოება.

მამუკა ახვლედიანის განცხადებებს მოჰყვა არაჯანსაღი გამოხმაურება სასამართლოს შიგნიდან, არაჯანსაღი კრიტიკა და არაეთიკური ეპითეტები.

მოიხსენიებდნენ ბრჭყალებში მოსამართლედ, უწოდებდნენ ამორალურს და უღირსს. იუსტიციის უმაღლესი საბჭო აუცილებლად უნდა დაინტერესდეს ამ მოსამართლეების ქცევით, – განაცხადა ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის წარმომადგენელმა სოფიო ვერძეულმა და აღნიშნა, რომ საბჭომ ასევე უნდა დადგინოს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 8 მოსამართლის ვინაობა, რადგან ისინი განცხადებას ხელს არ აწერდნენ.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე ანა ნაცვლიშვილი კი იმედოვნებს, რომ საბჭო ობიექტურად შეისწავლის მათ მოთხოვნას.

ანა ნაცვლიშვილი:

– ჩვენთვის მნიშვნელოვანია, თუ რამდენად თანმიმდევრულია იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომ შეისწავლოს ჩვენი განცხადებები.

ჩვენ ვერ ვხედავთ მამუკა ახვლედიანის განცხადებებში დარღვევას, თუ სისტემურ პრობლემებზე საუბარი ჩაითვლება დისციპლინურ გადაცდომად, ეს პირდაპირი მესიჯი იქნება, რომ არავინ გაბედოს და ხმა არ ამოიღოს იმ პრობლემებზე, რაც სასამართლოს აქვს.

ინტერპრესნიუსი

მებაჟე ოფიცრებმა სიგარეტის უკანონო პარტია აღმოაჩინეს

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, უწყების თანამშრომლებმა, 8 თებერვალს, საბაჟო გამშვებ პუნქტზე „ყაზბეგი“ არადეკლარირებული სიგარეტების პარტიის უკანონო შემოტანის ფაქტი გამოავლინეს. მებაჟე ოფიცრებმა 1.335 კოლოფი სხვადასხვა დასახელების სიგარეტი რუსეთის მოქალაქე კ.ვ.-ის კუთვნილი ავტომობილის დათვალიერების შედეგად აღმოაჩინეს.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, საქმე შემდგომი რეაგირებისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის საგამოძიებო სამმართველოს გადაეცა.

ინტერპრესნიუსი

გორში მამაკაცმა ყოფილი ცოლი და მისი მეუღლე მოკლა

გორში, გურამიშვილის ქუჩაზე მამაკაცმა ცეცხლსასროლი იარაღით ყოფილი ცოლი და მისი მეუღლე მოკლა.

როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი ადგილიდან იუწყება, მამაკაცი ცოლს წლების წინ დაშორდა, რის შემდეგაც მისი ყოფილი მეუღლე მეორედ გათხოვდა და ბოლო წლების განმავლობაში, პირველი ქორწინებისას შეძენილ შვილებთან ერთად ისრაელში ცხოვრობდა.

მეზობლების ინფორმაციით, ისრაელში მათი ერთ-ერთი შვილი, 25 წლის გოგონა გარდაიცვალა, რომელიც გორში ჩამოასვენეს.

– სწორედ ამ დროს საცხოვრებელი კორპუსის ეზოში ყოფილმა ქმარმა ირმა გაგლოშვილს და მის მეუღლეს ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენჯერმე ესროლა, რის შემდეგაც ისინი ადგილზე გარდაიცვალნენ. დამნაშავემ შემთხვევის ადგილიდან მიმალვა შეძლო, – აცხადებენ მეზობლები.

რაც შეეხება 25 წლის გოგოს გარდაცვალების მიზეზს, მეზობლები აღნიშნულს ვერ აკონკრეტებენ და აცხადებენ მხოლოდ იმას, რომ ის ავადმყოფობდა.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

ინტერპრესნიუსი

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

მსოფლიო ბანკი საქართველოს 140 მილიონ დოლარს გამოუყოფს

ჩქაროსნული მაგისტრალის ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის მონაკვეთს მსოფლიო ბანკი და ევროპის საინვესტიციო ბანკი დააფინანსებენ

მსოფლიო ბანკი საქართველოს აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის, ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის მონაკვეთის დაფინანსების მიზნით 140 მილიონი აშშ დოლარს გამოუყოფს.

ფინანსთა სამინისტროს ცნობით, მსოფლიო ბანკი საქართველოს მთავარი სატრანსპორტო მაგისტრალის განახლების მხარდაჭერას განაგრძობს.

საქართველოსა და მსოფლიო ბანკის რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის დერეფნის გაუმჯობესების პროექტის“ (ჩქაროსნული მაგისტრალის ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის მონაკვეთი) დაფინანსების მიზნით 140 მილიონი აშშ დოლარის ფინანსური რესურსის გამოყოფის თაობაზე.

ხელშეკრულებას ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა და მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიაში მერსი ტემბონმა მოაწერეს ხელი.

ცერემონიალს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე ილია დარჩიაშვილი დაესწრო.

პროექტით გათვალისწინებულია ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის 14.1 კმ. სიგრძის მონაკვეთზე ახალი ოთხზოლიანი გზის მშენებლობა. აღნიშნული მონაკვეთიდან, მსოფლიო ბანკის მიერ დაახლოებით 8.3 კმ დაფინანსდება.

– პროექტს მსოფლიო ბანკთან ერთად აფინანსებს ევროპის საინვესტიციო ბანკი, რომელიც ამ მიზნით გამოყოფს 49.45 მილიონი ევროს ოდენობის დაფინანსებას. ევროპის საინვესტიციო ბანკი ზემო ოსიაურიდან ჩუმათელეთის მიმართულებით დაახლოებით 5.8 კმ. სიგრძის მონაკვეთის მშენებლობას დააფინანსებს, – ნათქვამია განცხადებაში.

პროექტი აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაგრძელებას წარმოადგენს, რომლის მშენებლობის დაფინანსების მიზნით, დღეის მდგომარეობით, მხოლოდ მსოფლიო ბანკის მიერ, ჯამურად გამოყოფილია დაახლოებით 367 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის შეღავათიანი ფინანსური რესურსი.

აღნიშნული სახსრებით დაფინანსდა ჩქაროსნული ავტომაგისტრალის აღაიანი-ზემო ოსიაურის მონაკვეთი, ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდა რიკოთის გვირაბს.

– სატრანსპორტო-საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება საქართველოსა და მსოფლიო ბანკს შორის თანამშრომლობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალი წარმოადგენს ქვეყნის მთავარ სატრანსპორტო არტერიას. მისი მშენებლობა აუცილებელი წინაპირობაა იმისათვის, რომ საქართველო ჩამოყალიბდეს როგორც რეგიონის სავაჭრო, ეკონომიკური, სატრანზიტო და ლოგისტიკური ცენტრი, – ნათქვამია განცხადებაში.

ბიბიენი

საქართველოში ინვესტირებით კიდევ ერთი რუსული კომპანია დაინტერესდა

„ვიმპელკომის“ ანძების შეძენის ერთ-ერთი მსურველი რუსული კომპანია „რუსკიე ბაშნი“ ქართული ბაზრით დაინტერესდა.

როგორც კომპანიის პრეზიდენტი ალექსანდრ ჩუბი აცხადებს, კომპანიის სამომავლო გეგმა საერთაშორისო ბაზარზე, მათ შორის, საქართველოზე გასვლაა.

მისივე თქმით, ბოლო თვეების განმავლობაში კომპანიის წარმომადგენლები საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდნენ, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, რა გადაწყვეტილება მიიღო კომპანიამ.

– განვითარების სტრატეგიაში გათვალისწინებულია დსთ-ს ქვეყნებზე გასვლა. ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ჩავედით ქვეყნებში, რომლებიც ჩვენთვის საინტერესოა.

უკრაინის გარდა, ესაა ბელორუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო და მონღოლეთი. ჩვენ დავასრულეთ ბაზრის შესწავლის ეტაპი და ჩამოვაყალიბეთ საკუთარი პოზიცია, – აცხადებს ალექსანდრ ჩუბი.

კომპანია „რუსკიე ბაშნი“ რუსეთის ტერიტორიაზე საანტენო მოწყობილობებს ფლობს და ინვესტიციებს ანძების მშენებლობაში ახორციელებს.

ბიბიენი

„წელს ირანიდან 100.000 ტურისტის ჩამოყვანას ვგეგმავთ“

საქართველო ირანთან სავიზო რეჟიმს აუქმებს. 15 თებერვლიდან ირანელები საქართველოში ვიზის გარეშე შეძლებენ ჩამოსვლას.

რა ეკონომიკური სარგებელი მოჰყვება ამას ქვეყნისთვის და რამდენ ხანში უნდა ველოდოთ ირანელი ტურისტებისა და ინვესტორების ზრდას საქართველოში?

მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სამი წლის წინ ირანთან სავიზო რეჟიმი დაწესდა, ირანიდან ჩამომსვლელთა რიცხვი თითქმის ოთხჯერ შემცირდა. ეს შეეხო არა მხოლოდ ტურიზმის სფეროს, არამედ ინვესტიციებსაც. ირანელი ბიზნესმენების დიდმა ნაწილმა საქართველო დატოვა.

– როცა შევიტყვეთ, რომ საქართველოს სავიზო რეჟიმი უნდა დაეწესებინა, მე, მამაჩემმა და ჩემმა ძმამ ვიფიქრეთ, რომ აქ ინვესტიციების განხორციელება საფრთხეებთან იქნებოდა დაკავშირებული. სავიზო რეჟიმის დაწესება ნიშნავს, რომ ამ ქვეყანას შენ არ მოსწონხარ. ინვესტორები ასეთ შემთხვევაში კარგავენ ნდობას.

საქართველოში საერთაშორისო სატრანსპორტო კომპანიის შექმნას ვაპირებდი, თუმცა, ჩემმა ოჯახმა მითხრა, რომ საქართველოს მთავრობა აღარ იყო სანდო, ვინაიდან ძალიან ხშირად ცვლიდნენ გადაწყვეტილებებს და რეგულაციებს, – აღნიშნა ირანელმა მორტეზა გოლამიმ.

ქართულ-ირანული ბიზნეს განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, მაჰმუდ დავარი აცხადებს, რომ 1.655 კომპანია დაიხურა, 12.000 ქართველმა კი სამუშაო ადგილი დაკარგა მას შემდეგ, რაც ირანისთვის სავიზო რეჟიმი დაწესდა და ირანელებმა საქართველო დატოვეს. ახლა კი ირანელებისთვის სავიზო რეჟიმის კვლავ გაუქმება საქართველოსა და ირანს უდიდეს სარგებელს მოუტანს.

– პირობა მივეცი საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაციას, რომ წელს ირანიდან სულ მცირე 100.000 ტურისტის, მომავალ წელს კი 250-300.000 ტურისტის ჩამოყვანას ვგეგმავთ. ვიმედოვნებ, რომ დაახლოებით 5.000 ინვესტორს ჩამოვიყვანთ, რომლებსაც სოფლის მეურნეობის, ენერგოსექტორისა და ტურიზმის სფეროში ინვესტიციების განხორციელება სურთ.

არიან ასევე ადამიანები, რომლებიც აქ ტურისტებს ჩამოიყვანენ. რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, ჩვენ მზად ვართ იჯარით ავიღოთ უზარმაზარი სასოფლო სამეურნეო მიწა კახეთსა და სხვა ადგილებში, – აღნიშნა დავარმა „ბიზნეს-პრესნიუსთან“ საუბრისას.

◆ ◆ ◆

სავიზო რეჟიმის გაუქმება ტურიზმის სფეროსაც დაეტყობა. ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკების“ ცნობით, ირანიდან შემოსული ტურისტების რაოდენობა სავიზო რეგულაციების შემოღების შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდა.

ორგანიზაციის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ირანიდან ყველაზე მეტი ტურისტი 2012 წელს შემოვიდა, თითქმის 90 ათასი. 2014 წლიდან მათი რაოდენობა ჯერ განახევრდა, შარშან კი მხოლოდ 25.264-მა ირანელმა გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი.

– პრემიერ-მინისტრის ინიციატივა ირანთან უვიზო მიმოსვლის აღდგენის შესახებ აუცილებლად გაზრდის ამ ქვეყნიდან საქართველოში შემოსული ტურისტების და ინვესტიციების რაოდენობას, რაც ქვეყნის ეკონომიკისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია, – აღნიშნავს „საზოგადოება და ბანკების“ გამგეობის თავმჯდომარე გიორგი კეპულაძე.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, გიორგი ჩოგოვაძე ამბობს, რომ ირანთან სავიზო რეჟიმის გამარტივება არის ადეკვატური გადაწყვეტილება.

– ეს ეფექტს იქონიებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე, მათ შორის ტურისტების რაოდენობაზე, რომელიც, ერთი მხრივ, გაიზრდება და მეორე მხრივ, შემოსავლებზე, რომლებიც ქვეყანაში საერთაშორისო ტურიზმიდან შემოვა, – აღნიშნა ჩოგოვაძემ.

გარდა იმისა, რომ ირანთან სავიზო რეჟიმის გაუქმება ირანელი ტურისტებისა და ინვესტორების რიცხვს გაზრდის, ექსპერტ სანდრო თვალჭრელიძეს მიაჩნია, რომ ირანთან თანამშრომლობის გაღრმავებამ შესაძლოა, ახალი პერსპექტივები შეუქმნას საქართველოს.

– ირანი არის ისეთი პარტნიორი, რომელთან თანამშრომლობამაც აბსოლუტურად ახალი პერსპექტივები შესაძლოა შექმნას. საქართველო მართლაც შეიძლება გახდეს ახლო აღმოსავლეთისთვის და სამხრეთ კავკასიისთვის ენერგოჰაბი, – აღნიშნავს სანდრო თვალჭრელიძე.

ირანი რეგიონისა და მსოფლიოს არაერთი ქვეყნისთვის მიმზიდველი მას შემდეგ გახდა, რაც თეირანს დასავლეთმა ეკონომიკური სანქციები მოუხსნა. ექსპერტების მოსაზრებით, სწორედ ამან განაპირობა საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება, გაემარტივებინა ირანთან სავიზო რეჟიმი, რაც ირანთან ეკონომიკური კავშირების გაღრმავების შესაძლებლობას იძლევა.

ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის განვითარებას მიესალმება თავად ირანის პრეზიდენტი, ჰასან რუჰანიც.

– ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობა ირანსა და საქართველოს შორის უნდა გაძლიერდეს, როგორც არასდროს, – აღნიშნა რუჰანიმ.

საქართველოში ირანის ელჩის მოადგილის, მოჰსენ ქებრიაის განცხადებით კი, უახლოეს მომავალში ირანში საქართველოდან ოფიციალური ვიზიტები განხორციელდება.

მისივე თქმით, თებერვლის თვეში დაგეგმილია საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის, ვიცე-პრემიერ კახა კალაძის ვიზიტი.

ექსპერტების ვარაუდით, ორ ქვეყანას შორის ენერგეტიკის და ვაჭრობის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება უახლოეს მომავალშია მოსალოდნელი.

თამთა ჯიჯავაძე, ბიბიენი

შოთა გულბანი: „ჰუმანითი ჯორჯიას მიერ დაანონსებული იაფი მედიკამენტების მოლოდინმა „ფანასკერტელის ინდექსის“ კლება გამოიწვია“

„ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია – „აფბამ“ ფარმაცევტულ ინდექსზე – „ფანასკერტელის ინდექსი“ მუშაობა დაასრულა და ბაზარზე არსებული ვითარება გაასაჯაროვა.

„აფბას“ ყოველთვიურ ჭრილში (2015 წლის ნოემბერ-დეკემბერი და 2016 წლის იანვარი) მედიკამენტების ფასებზე სამთვიანმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ „ფანასკერტელის ინდექსი“ პირველ შემთხვევაში 1,75%-ით, ხოლო მეორე შემთხვევაში 4,64%-ით შემცირდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მედიკამენტების ბაზარზე ფასების კლების ტენდენცია დაფიქსირდა.

როგორც „აფბას“ პრეზიდენტი შოთა გულბანი აღნიშნავს, „ფანასკერტელის ინდექსი“ გაიანგარიშება ფარმაცევტულ ბაზარზე არსებული 200 დასახელების ყველაზე მოთხოვნადი მედიკამენტის ფასების მონიტორინგით, სადაც შედის როგორც ქართული, ისე უცხოური წარმოების მედიკამენტები, აგრეთვე, როგორც ორიგინალი დასახელების, ისე შემცვლელი – ჯენერიკები.

გულბანის თქმით, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართული წარმოების წამლებზე ფასების კლება არ შეინიშნება, ვინაიდან აქ პრაქტიკულად ბაზრის ორი ძირითადი მოთამაშე დომინირებს და შესაბამისად, საფასო პოლიტიკის წარმოებისას, როგორც ჩანს, კონკურენცია ნაკლებია.

– ფასები დიდწილად იმპორტირებულ მედიკამენტებზე შემცირდა, რამაც „ფანასკერტელის ინდექსის“ დაღმავალი ტენდენცია გამოიწვია, ხოლო ეს კლება დროში ემთხვევა ბაზარზე ახალი, მსხვილი მოთამაშის – ჰუმანითი ჯორჯიას გამოჩენის მოლოდინს და პრაქტიკულად მის მიერ ბაზრისთვის მედიკამენტების სავარაუდოდ, მინიმუმ 30%-ით იაფად შეთავაზებით არის განპირობებული, – აცხადებს გულბანი და დასძენს, რომ აღნიშნული გარემოება კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ქვეყანაში ფარმაცევტულ ბაზარზე ნორმალური, საბაზრო ეკონომიკის პრინციპებისადმი შესაბამისი კონკურენციის შექმნის შემთხვევაში, ფასები მედიკამენტებზე საგრძნობლად დაიკლებს.



გულბანს მიაჩნია, რომ სწორედ ბაზარზე ახალი მსხვილი მოთამაშის შემოსვლის მოლოდინი გახდა „ფანასკერტელის ინდექსის“ შემცირების გამომწვევი მთავარი მიზეზი.

„აფბას“ ინფორმაციით, ინდექსის გაანგარიშება მიმდინარეობდა 2015 წლის ნოემბერ-დეკემბრის და 2016 წლის იანვრის მდგომარეობით მედიკამენტებზე დაფიქსირებულ ფასებზე დაკვირვების მეშვეობით.

ფასებზე დაკვირვება განხორციელდა როგორც ინკოგნიტოდ გამოკითხვის, ისე პირდაპირი შესყიდვების მეშვეობით. 2015 წლის ნოემბერში „ფანასკერტელის ინდექსმა“ შეადგინა 14,5, დეკემბერში – 14, ხოლო 2016 წლის იანვარში – 13,35 პუნქტი.

„აფბა“-ში აცხადებენ, რომ „ფანასკერტელის ინდექსი“ ყოველთვიურ რეჟიმში განახლდება.

სომხები აფხაზეთიდან აფხაზების განდევნას აპირებენ

„ისინი ქართველების ბედს გაიზიარებენ“

შორენა მარსაგიშვილი

აფხაზეთში მცხოვრებ სომხებსა და აფხაზებს შორის ვითარება უკიდურესად დაიძაბა.

რამდენიმე თვის წინ „ახალმა თაობამ“ გამოაქვეყნა ორგანიზაცია „აიდგილარას“ წევრ აიდამირ ხიშბას წერილი იმასთან დაკავშირებით, რომ სომხებს აფხაზეთის ხელში ჩაგდება სურთ.

ამ საკითხზე აფხაზეთში სერიოზული ამბები ტრიალებს. გამოცემა „კავკაზტაიმისის“ ცნობით, ბაგრამიანის სახელობის ბატალიონის წევრები აფხაზეთში სომხების ჩასახლებას გეგმავენ.

როგორც წერილის ავტორი, ვასილი გერაშენკო იუწყება, ამის ინიციატორი გალუსტ ტრაპიზონიანია.

ვისაც აფხაზეთის ომთან შეხება აქვს, ამ კაცის სახელი და გვარი ყველას ემახსოვრება. ის ბაგრამიანის სახელობის ბატალიონის ერთ-ერთი თავკაცი იყო და ქართველების მიმართ განსაკუთრებული სიძულვილით გამოირჩეოდა.

მის „საგმირო“ საქმეებს ვასილი გერაშენკოც იხსენებს და ტრაპიზონიანის გამდიდრების საიდუმლოსაც ხდის ფარდას.

ტრაპიზონიანი აფხაზეთში ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ ადამიანად ითვლება.

– მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის განდევნაში შეტანილი წვლილისთვის ჯალათი ტრაპიზონიანი აფხაზებმა დაიფასეს და ეროვნული გმირის წოდება მიანიჭეს. ომის დროს ის მარადიორობდა და ქართველების ქონებას დაეპატრონა. ამის წყალობით გახდა ის სეპარატისტულ აფხაზეთში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ადამიანი, – აღნიშნავს გერაშენკო.

მისი ინფორმაციით, დღეს ეს მარადიორი სხვა ქონებასთან ერთად, გაგრაში მდებარე საკურორტო კომპლექს „გაგრიპშის“ მფლობელიცაა.

ტრაპიზონიანი აფხაზეთის სომეხთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილეა და, როგორც გერაშენკო ამბობს, აქტიურად ლობირებს თავის ტომის ხალხს.

მისივე თქმით, ტრაპიზონიანის უშუალო ჩარევით, დღეს გაგრა სომხური ბიზნესისა და კრიმინალის კუნძულად გადაიქცა.

– დღეს გაგრაში ყველაფერი სომხების ხელშია. იქ მყოფ აფხაზებს ისინი შირმად იყენებენ, რომლებიც ფინანსურად მთლიანად მათზე არიან დამოკიდებული, – აღნიშნავს გერაშენკო.

როგორც ირკვევა, სომხური ლობი აფხაზეთში ანგარიშგასაწევი ძალა ყოფილა. გერაშენკოს მტკიცებით, სწორედ სომხური ლობი ცდილობს იმ კანონის მიღებას, რომელიც უცხოელებს აფხაზეთში უძრავი ქონების შეძენის უფლებას მისცემს.

ამ კანონის გარშემო აფხაზეთში არაერთხელ ატყდა ვნებათაღელვა, მაგრამ არც ერთი ხელისუფალი ამას არ დათანხმდა. კანონის მიღებას მოსახლეობაც ეწინააღმდეგება.

მოსახლეობა შიშობს, რომ მათთან ყველაფერს რუსები იყიდიან. არადა საქმე ისე ყოფილა, რომ სომხები აფხაზეთში მცხოვრებ რუსებსაც უქმნიან პრობლემებს.

– ტყუილად ფიქრობს ვინმე, რომ აფხაზეთში არსებული მთელი უძრავი ქონება რუსების ხელში აღმოჩნდება. სომხურ-აფხაზური მაფია ისე ოსტატურად მოქმედებს, რომ აქ მცხოვრებ რუსებს ბინებსა და სახლებს ართმევენ. სომხური ტექნოლოგიებით მარტივად შეიძლება მათი მშრალზე დატოვება, – წუხს გერაშენკო.

მისი თქმით, რუსებს აფხაზეთში უძრავი ქონების შეძენის მინიმალური შანსები აქვთ, მაშინ როცა, სომხები უკვე ემზადებიან შავი ზღვისპირეთის ასათვისებლად.

– კრასნოდარის მხარესა და მოსკოვში მცხოვრებ სომხებს ერთი სული აქვთ, როდის მიიღებენ კანონს უძრავი ქონების გასხვისების შესახებ, რათა შავ ზღვასთან ახლოს მოკალათდნენ, – მიაჩნია გერაშენკოს.

მართალია, აფხაზური საზოგადოება ამ კანონის მიღებას ეწინააღმდეგება, მაგრამ, როგორც გერაშენკო ამბობს, სომხური ლობის ჩარევით ეს ძალიან მალე მოხდება.

გასაგები მიზეზების გამო უძრავი ქონების პრივატიზებისას უპირატესობა რუსეთის მოქალაქეებს მიეცემათ. გერაშენკოს თქმით, სომხებს რუსეთის მოქალაქის პასპორტები აქვთ და უძრავი ქონების შეძენა არ გაუჭირდებათ.

– ტრაპიზონიანი და მისი მებრძოლები ძალიან შეეცადნენ და აფხაზეთიდან დაახლოებით 300.000 ქართველი განდევნეს. მათი საცხოვრებელი დღეისთვის მიტოვებულია. მათ კანონიერ მფლობელებს – ქართველებს ამ ქონების დაბრუნების შანსები არა აქვთ. ეს მიტოვებული სახლები დაექვემდებარება პრივატიზაციას, სწორედ ამ სახლების შეძენას აპირებენ რუსეთის მოქალაქეობის მქონე სომხები, – აღნიშნავს გერაშენკო.

მისი განცხადებით, კანონის ამოქმედების შემთხვევაში ეთნიკური აფხაზები უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდებიან.

– დღეის მდგომარეობით, აფხაზეთში სომხები უფრო მრავლად ცხოვრობენ, ვიდრე ეთნიკური აფხაზები. ამ კანონის ამოქმედების შემდეგ კი მათი რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება. ეს იმას ნიშნავს, რომ აფხაზები აბსოლუტურ უმცირესობაში აღმოჩნდებიან, – ვარაუდობს ვასილი გერაშენკო.

მისი ინფორმაციით, დღეს აფხაზეთში 69.999 ეთნიკური აფხაზი ცხოვრობს, სომხების რაოდენობა კი დაახლოებით 80.000. გერაშენკო ვარაუდობს, რომ მათი რაოდენობა სულ მინიმუმ 300.000-მდე გაიზრდება.

– აფხაზები საცოდავ უმცირესობაში აღმოჩნდებიან, მერე ისინი ალბათ პრეტენზიებს გამოთქვამენ, რომ მათ მიწას სომხები დაეპატრონებიან. ასე თუ მოხდა, მაშინ საქმეში გალუსტ ტრაპიზონიანი და მისი მებრძოლები ჩაერთვებიან. მათ ჯერაც არ დავიწყებიათ ის მეთოდები, რომლებითაც თავის დროზე ქართველები საკუთარი მიწიდან აყარეს.

ეს ბედი ელოდება აფხაზებსაც, ოღონდ მათ წასასვლელი არსად ექნებათ. საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, იმ ქართველების გვერდით, წესით, ვერ უნდა იცხოვრონ, რომლებიც 1992-1993 წლებში მათ სომხებთან ერთად გამოყარეს, – წერს გერაშენკო.

გუგული მაღრაძე: „თუ გააცდენენ, მაშინ იმ დღის ხელფასზე უარიც თქვან“

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის გუგული მაღრაძის განცხადებით, საპარლამენტო ოპოზიცია პლენარულ სხდომებზე დასწრებას თავს არიდებს.

როგორც დეპუტატმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, სწორედ ოპოზიციის ქცევა გახდა გასულ პარასკევს პლენარული სხდომის ჩაშლის მიზეზი.

გუგული მაღრაძე:

– იცით, რომ პარასკევს პლენარული სხდომა ჩაიშალა. ცხადია, უმრავლესობის პასუხისმგებლობა გაცილებით დიდია, მაგრამ თავისი წილი პასუხისმგებლობა ოპოზიციასაც აქვს. ყველა ჩვენგანი, დეპუტატი, იღებს ხელფასს იმისთვის, რომ მონაწილეობა მიიღოს პარლამენტის მუშაობაში.

მიმაჩნია, რომ არანაირი გამართლება არავის არ აქვს, ვინც პლენარულ სხდომას აცდენს. ხელფასს საქართველოს მოსახლეობა გვიხდის იმისთვის, რომ პარლამენტის მუშაობაში მონაწილეობა მივიღოთ. შეიძლება რაღაც პოლიტიკური შეხედულებების გამო არ მიიღო დისკუსიაში მონაწილეობა, მაგრამ დასწრება სხდომაზე ყველასთვის აუცილებელია.

ამ მხრივ გაუმართლებელია, რომ სხდომებზე ნაციონალური მოძრაობის 5-6 წარმომადგენელი მოდის, რადგან გააკონტროლონ, ვინმემ ზედმეტად ხმა არ მისცა ხმა და არც გადიან რეგისტრაციას. პარასკევს რომ გაევლოთ რეგისტრაცია, კვორუმი იქნებოდა და ჩვენ რამდენიმე მნიშვნელოვან კანონს მივიღებდით. პარლამენტის ყველა წევრის ვალდებულებაა, რომ გამართულად მუშაობდეს ორგანო. თუ ოპოზიციას მიაჩნია, რომ ესა თუ ის კანონი არ უნდა იყოს მიღებული, კეთილი ინებოს, დაესწროს სხდომებს, აზრი გამოთქვას და საქართველოს მოსახლეობამ დაინახოს, რომ მხოლოდ სკანდალისთვის კი არა, მუშაობისთვის მოდიან. სადაც ხელფასს იღებენ, იქ უნდა იმუშაონ კიდეც. თუ გააცდენენ, მაშინ იმ დღის ხელფასზე უარიც თქვან.

მედიანიუსი

„საქაერონავიგაციამ“ საჰაერო მოძრაობის მართვის ახალი სარეზერვო სისტემით აღიჭურვება

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპს „საქაერონავიგაციასა“ და ჩეხურ კომპანია ІЧД-ს შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, საჰაერო მოძრაობის მართვის ახალი სარეზერვო სისტემის შეძენა-მონტაჟის თაობაზე.

პროექტის ღირებულება 1.5 მილიონი ლარია, სამონტაჟო სამუშაოებს, ხელშეკრულების თანახმად, ჩეხური კომპანია თავად ჩაატარებს.

ჩეხური წარმოების სარეზერვო სისტემა დაყენებული იქნება თბილისის საჰაერო მოძრაობის მართვის რაიონულ ცენტრში და ჩაანაცვლებს ამჟამად არსებულ ამერიკული წარმოების სარეზერვო სისტემას, რომლის ექსპლუატაციის ვადა 2016 წლის ბოლოს იწურება.

– დღეს, საჰაერო ნავიგაციის სერვისის პროვაიდერები, ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, ახალი გამოწვევების წინაშე ვდგავართ. მაშინ, როდესაც ფრენების უსაფრთხოება და საავიაციო რისკების მართვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ახალი სისტემების დანერგვის აუცილებლობა გარდაუვალი ხდება. დღეს ჩვენ ჩეხური წარმოების საჰაერო მოძრაობის მართვის სარეზერვო სისტემა შევიძინეთ, რომლითაც მნიშვნელოვნად ავამაღლებთ საქართველოს ცის უსაფრთხოებას. ალეს-ის სარეზერვო სისტემა კიდევ უფრო დაცულს გახდის საქართველოს საჰაერო სივრცეს, რომელიც უკვე სამმაგად იქნება დაცული ნებისმიერი ტექნიკური შეფერხებისგან. ეს პროექტი არის კიდევ ერთი წარმატებული ნაბიჯი ჩვენი ქვეყნის სამოქალაქო ავიაციის განვითარების საქმეში,“ – განაცხადა შპს „საქაერონავიგაციის“ გენერალურმა დირექტორმა გოჩა მეზრიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპს „საქაერონავიგაცია“ საჰაერო მოძრაობის მართვის ახალ ცენტრს აშენებს. უკვე შეძენილია ესპანური კომპანია ინდრა-ს საჰაერო მოძრაობის მართვის თანამედროვე ტექნოლოგიებით აგებული სისტემა. აღნიშნული პროექტი კომპანიას 22 მილიონ ლარზე მეტი უჯდება. ახალ სისტემაზე გადასვლა საქართველოს საჰაერო სივრცის გამტარუნარიანობასაც გაზრდის და კომპანიას ექნება შესაძლებლობა, მაღალი დონის სანავიგაციო მომსახურება უფრო მეტ ავიაკომპანიას შესთავაზოს. ინდრა-ს სისტემისგან დამოუკიდებელი ახალი რეზერვი კი უკვე სრულად გამორიცხავს ნებისმიერი მიზეზით საჰაერო მოძრაობის მართვის სისტემის მუშაობის შეფერხებას.

ნიუსპრესი



გამოვიდა ახალი წიგნი GEORGIAN MYTH-TALES

დანიელ არა ქართველი ჟურნალისტის ვალერი ჭკადუას ფსევდონიმია. ვ.ჭკადუამ დაამთავრა თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს მწერალთა კავშირის მთავარ მთარგმნელობით კოლეგიაში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში საინფორმაციო განყოფილების გამგედ, საგამომცემლო სახლ „პალიტრის“ ინგლისურენოვანი ყოველკვირეულის Georgia Jornal-ის მთავარ რედაქტორად.

1990 წლიდან დანიელ არა აქტიურად თარმნის და აქვეყნებს შერვუდ ანდერსონის, უილიამ ფოლკნერის, ჯეიმს თერბერისა და სხვა ამერიკელი მწერლების ნაწარმოებებს.

წინამდებარე ინგლისურენოვანი მოთხრობების კრებულის „ქართული მითიური ამბების“ წინასიტყვაობაში დანიელ არა წერს: „ყოველ ერს გააჩნია მითები, რომლებიც აყალიბებენ ამ ხალხის როგორც კოლექტიურ, ასევე ინდივიდუალურ მიდგომას იმ მოვლენისადმი, რომელსაც ზოგი ოპტიმისტი „ცხოვრებას“ უწოდებს. ამ წიგნში მე შევეცადე გადმომეცა იმ მითიური აზროვნების თავისებურება, ქართველებს რომ ახასიათებს“.

წიგნის შეძენა შეიძლება „ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში.

კვირიკაშვილი ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს შეხვდა

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების პროცესი და ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის ჩართულობა იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილისა და ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის ჰერბერტ ზალბერის შეხვედრის მთავარი თემები.

მხარეებმა საუბრისას ხაზი გაუსვეს ერთობლივი ძალისხმევის მნიშვნელობას და ჟენევის მოლაპარაკებების მომდევნო რაუნდისთვის დიალოგის კონსტრუქციული ატმოსფეროს შექმნის იმედი გამოთქვეს.

ჰერბერტ ზალბერი დღეს საქართველოში მიემგზავრება, სადაც ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მომდევნო რაუნდისთვის მოსამზადებლად დამატებით შეხვედრებს გამართავს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის შეხვედრა ბრიუსელში გიორგი კვირიკაშვილის ვიზიტის ფარგლებში გაიმართა. შეხვედრას სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში დავით ბაქრაძე და ევროკავშირში საქართველოს მისიის ხელმძღვანელი ნატა საბანაძე დაესწრნენ.

ნიუსპრესი

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

ნიუ-ჰემპშირი: გაიმარჯვეს სანდერსმა და ტრამპმა



ნიუ-ჰემპშირში პრაიმერიზის მეორე რაუნდი გაიმართა.

შედეგები შემდეგია: დონალდ ტრამპმა 35% დააგროვა, მეორე ადგილზეა რესპუბლიკელი ჯონ კეისი 16%-ით, მესამე ადგილი სენატორმა ტედ კრუზმა დაიკავა – 12%. შემდეგ მოდიან ჯებ ბუში – 11% და მარკო რუბიო 10%.

– დამაჯერებლად გავიმარჯვე, მალე ჩემს ჩვეულ ხისტ რიტორიკას დავუბრუნდები! – თქვა ტრამპმა.

დემოკრატებს შორის წინასწარი გამოკითხვების შედეგად სანდერსი ლიდერობდა. მან ხმების 59% დააგროვა. მეორე ადგილზე გასულმა ჰილარი კლინტონმა კი – 39.

ჰილარიმ სანდერსს გამარჯვება მიულოცა

ექსპერტები თვლიან, რომ ნიუ-ჰემპშირის შტატს თავისთავად დიდი მნიშვნელობა არ აქვს, თუმცა აქაურმა წილისყრამ შესაძლოა მომავალში დიდი ფსიქოლოგიური ზეგავლენა იქონიოს. ექსპერტთა უმრავლესობა კვლავაც თვლის, რომ დონალდ ტრამპი პრეზიდენტი ვერ გახდება.

რაც შეეხება დემოკრატებს, ჰილარი კლინტონსა და ბარნი სანდერსს შორის დაძაბული ბრძოლაა მოსალოდნელი.

ცოტა ხნის წინ ჰილარი დამაჯერებლად ლიდერობდა, მაგრამ ახლა მასსა და სანდერსს შორის განსხვავება მცირეა.

თავად ჰილარი კლინტონის შტაბში ნიუ-ჰემპშირის მარცხს დასანან, მაგრამ მაინც ეპიზოდად თვლიან.

– ნიუ-ჰემპშირში ძლიერია დემოკრატიული პარტიის მემარცხენე ფრთის პოზიციები, რომელსაც სანდერსი განეკუთვნება, – აცხადებენ ჰილარი კლინტონის შტაბში.

მარცხის შემდეგ ჰილარი ამომრჩევლებს შეხვდა. მას გვერდს მისი მეუღლე, აშშ-ს ექსპრეზიდენტი ბილ კლინტონი უმშვენებდა.

– ღმერთო ჩემო, რამდენი მომხრე მყოლია! – წამოიძახა ჰილარი კლინტონმა, – წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, რომ გაგვემარჯვა! სანდერსს წარმატებას ვულოცავ და ვეუბნები, რომ ბრძოლა გრძელდება! მე მიყვარს ნიუ-ჰემპშირი! – თქვა მისის კლინტონმა.

ბალტიისპირეთში შესაძლოა ათასამდე ნატოს ჯარისკაცი განალაგონ

ნატოს გენერალურმა მდივანმა სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ ბალტიისპირეთში შესაძლოა 1.000-მდე ჯარისკაცი განალაგონ. ასევე 1.000 ჯარისკაცი განლაგდება პოლონეთში, ჩეხეთში, უნგრეთში, ბულგარეთში.

– რუსეთმა უნდა იცოდეს, რომ თუ ბალტიისპირეთში ან აღმოსავლეთ ევროპის რომელიმე ქვეყანაში რაიმეს გაბედავს, საქმე ინგლისის ან ამერიკის ჯართან ექნება, – თქვა სტოლტენბერგმა.

ნატოს გენერალურმა მდივანმა თქვა, რომ აღნიშნული გეგმა ერთგვარ კომპრომისს წარმოადგენს, რადგან ზოგიერთი პოლონელი პოლიტიკოსი მოითხოვდა აღმოსავლეთ ევროპაში ათეულობით ათასი ნატოელი ჯარისკაცის განლაგებას.

– ისინი თვლიდნენ, რომ უნდა დავუბრუნდეთ ცივი ომის ეპოქას, როცა რუსეთ-დასავლეთს შორის საზღვრებზე ასეულობით ათასი ჯარისკაცი და სამხედრო ტექნიკა იდგა, – აცხადებს სტოლტენბერგი.

ჟურნალისტის შეკითხვას, როგორი იქნება უკრაინის, საქართველოს, მოლდოვის ნატოში ინტეგრირების საკითხი, სტოლტენბერგმა მიუგო:

– მათთვის კარი ღიაა, თუმცა საიმისოდ, რომ ამ ქვეყნების ინტეგრაცია წარმატებით განხორციელდეს, აუცილებელია თავად ნატოში მიღების წესის შეცვლა, რაც უახლოესი მომავლის საკითხია.

– დღეს ნატოში მიღება კონსენსუსით ხდება. თუკი ერთ-ერთმა წევრმა ხმა წინააღმდეგ მისცა, ამა თუ იმ ქვეყანას არ მიიღებენ. ეს უნდა შეიცვალოს, – აცხადებს სტოლტენბერგი.

ალექსანდრე ტურჩინოვი: „რუსეთი უკრაინაში მასშტაბური შემოჭრისთვის ემზადება“

უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივანმა ალექსანდრე ტურჩინოვმა რუსეთი უკრაინის მიმართ ახალი აგრესიის მზადებაში დაადანაშაულა. მან მოიყვანა უკრაინის დაზვერვის მონაცემები, სადაც ნათქვამია, რომ რუსეთი დონბასელ სეპარატისტ მებრძოლებთან ერთად ფართომასშტაბიან სამხედრო ოპერაციას ამზადებს.

– დონბასის დროებით ოკუპირებულ ნაწილში შექმნილია პირველი და მეორე საარმიო კორპუსი, რუსეთ-უკრაინის საზღვართან კი თავმოყრილია 60.000-იანი არმია, – ამბობს ტურჩინოვი.

უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივნის ცნობით, სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია მოყვანილი რუსული სამხედრო ავიაცია. სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც შვებულებაში გასვლას აპირებდნენ, უარი უთხრეს.

– ეს მიუთითებს, რომ რუსეთი ინტერვენციისთვის ემზადება! – ამბობს ტურჩინოვი.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის წარმომადგენელმა მინსკის საკონტაქტო ჯგუფის სხდომაში მონაწილეობის მიღებაზე უარი განაცხადა. თავად დონბასში კი შეიარაღებული პროვოკაციების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა.

– რუსეთი მინსკის შეთანხმებებს არ იცავს. ნატოც უკრაინისადმი დახმარების აღმოჩენას განაგრძობს, – განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა.

ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური

სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები“, მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს“

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმვლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79. ტელ: 2 182 186.
შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.

კანადა სირიაში საჰაერო დარტყმებს წყვეტს

კანადის პრემიერმა ტრიუდომ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა სირიაში საჰაერო დარტყმებს წყვეტს.

ტრიუდოს აზრით ტაქტიკამ, რომელიც საერთაშორისო კოალიციამ აირჩია, შესაძლოა მოკლევადიანი შედეგები მოიტანოს, მაგრამ გრძელვადიან სტაბილურობას ვერ უზრუნველყოფს.

– გამომდინარე აქედან ვერ ვხედავ აზრს, რომ ჩვენმა თვითმფრინავებმა ტერორისტების პოზიციებზე საჰაერო დარტყმები განაგრძონ, – ამბობს ტრიუდო.

ამავე დროს, კანადის პრემიერმა აღნიშნა, რომ მისი ქვეყანა საერთაშორისო ანტიტერორისტული კოალიციიდან არ გადის.

კანადის სადაზვერვო თვითმფრინავები კვლავაც იფრენენ სირიის ტერიტორიაზე, რათა კოალიცია უახლესი სადაზვერვო მონაცემებით მოამარაგონ.

მიხეილ კასიანოვს ტორტი ესროლეს

მოსკოვის ცენტრში განხორციელდა თავდასხმა რუსული დემოკრატიული ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერ მიხეილ კასიანოვზე.

როცა ის ერთ-ერთი რესტორნიდან გამოდიოდა, მასთან კავკასიური გარეგნობის ორი მამაკაცი მივიდა. მათ კასიანოვს სახეში ტორტი ესროლეს.

თავდამსხმელებმა შეძლეს გაქცევა.

მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მიმდინარეობს გამოძიება. თავად კასიანოვის მომხრენი მომხდარში რამზან კადიროვს ადანაშაულებენ.

– კადიროვი კასიანოვს არაერთგზის ემუქრებოდა. ახლა მუქარა სისრულეში მოიყვანა, – ამბობენ ისინი.

მოამზადა
ნიკა თევზაძემ

განცხადებები

მკურნალობა

● უძლიერესი ნათელმხილველი დარეჯანი – კმაყოფილი დარჩებით უმაღლეს დონეზე, აქვე მოიხსნით სხვადასხვა პრობლემას. მიღება შპს „იადიგარ დაუდის“ ოფისში. ტელ: 555-75-90-62.

● ნანა ქიბროწაშვილი – ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი. ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრები და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის გამზირი №57, მე-2 სად. მე-2 სართ. ოფისი №7. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება 12 საათიდან 15 საათამდე.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ – წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● დაქვეითებული სმენის – ნევრიტის, ოტიტის, ოსტეოქონდროზის, კიდურების, კუნთების, სახსრების დაავადებების, რადიკულიტის, პროსტატიტის, ცისტიტის, ხშირი შარდვის, მასტიტის, საკვერცხეების ანთების, წითელი ქარის განკურნება უნიკალური ენერგეტიკული მეთოდით, ასაკის მიუხედავად. ეს ნამდვილია პრაქტიკულად გამოცდილი. მის.: აღმაშენებლის 93. პოლიკლინიკა. ტელ: 599-97-85-46 ლევანი - სერტიფიცირებული სახალხო მკურნალი.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

ქუთაისის ტორპედომ ბულგარულ გუნდს მოუგო

ქართული კლუბების ნაწილი საქართველოში დაბრუნდა

კვირაზე ოდნავ მეტი დარჩა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის განახლებამდე ფეხბურთში. ქართული კლუბების დიდი ნაწილი თურქეთში გადის შეკრებას, ნაწილმა უკვე დაასრულა.

თურქული შეკრების ბოლო ამხანაგურ შეხვედრაში ქუთაისის ტორპედომ ბულგარეთის მე-2 ლიგის ვერრეია 3:1 დაამარცხა. რიონისპირელთაგან სამივე გოლი თორნიკე კაპანაძემ გაიტანა.

67-ე წუთზე, როდესაც ქუთაისელები 0:1 აგებდნენ, ტორპედოს ფორვარდმა თავი ვანო წილოსანის პასის მერე გამოიჩინა. 10 წუთში კაპანაძემ უკვე გიორგი ქიმაძის პასი შეირგო და თანაგუნდელები დააწინაურა – 2:1. 88-ე წუთზე, ბულგარელებმა საჯარიმოში კაპანაძე წააქციეს და პენალტი თავად დაზარალებულმა გამოიყენა – 3:1.

ტორპედომ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ხაინდრავა (ქვილითაია 46), ტაბატაძე, ნერგაძე (ჭიჭინაძე 56), მირცხულავა (ნიკონოვი 73), ქიმაძე, კლიმიაშვილი (მამასახლისი 63), კუხიანიძე, ტუღუში (საღრიშვილი 46), წილოსანი (კვარაცხელია 82), კაპანაძე, შინდაგორიძე (ბრეგვაძე 46)

შეკრება დაასრულა მარტვილის მერანმაც, რომელიც ბოლო მატჩში შვეიცარიული იანგ ბოიზის 21 წლამდე გუნდს გაეჯიბრა.

პირველი ტაიმი გოლების გარეშე დასრულდა. მეორე ტაიმის დასაწყისში შვეიცარიული გუნდი დაწინაურდა, თუმცა საბანაძემ მოახერხა ანგარიშის გათანაბრება, რაც მატჩის საბოლოო ანგარიში აღმოჩნდა – 1:1.

მერანი: მამალაძე. მელიავა (რუხაია), გიორგაძე, ორბელაძე (ი.ციცხვაია), გეგია, ხაბელაშვილი (ჯღამაია), ჯიქია, გოგუაძე (გოგოლიძე), კიკნაველიძე, ჩიმაკაძე (აშორტია), საბანაძე.

თურქეთიდან ბრუნდება საფეხბურთო კლუბი საბურთალოც. დედაქალაქელები ბოლო სპარინგში ავსტრიულმა ლუშტენაუმ 6:1 გაანადგურა. ავსტრიელთა კარში ერთადერთი გოლი აფრიკელმა ლეგიონერმა ელვინ ტერამ გაიტანა.

საბურთალო ბოლო მატჩში სერბულ ნაპრედაკს დაუპირისპირდება, შემდეგ კი სამშობლოში დაბრუნდება.

საბურთალო: ქურდაძე, ბულუხაძე, შიხაშვილი, ბაკურაძე, მამუჩაშვილი, ხორხელი, კოხრეიძე, ლაკვეხელიანი, ცაცკრიალაშვილი, რუხაძე, ივანიაძე.

შეცვლაზე შევიდნენ: ჩოჩიშვილი, იაშვილი, სოფრომაძე, მარგველაშვილი, თოთაძე, ალთუნაშვილი, ელვინი, ბიძინაშვილი, ხარაიშვილი, გოშთელიანი.

თურქეთში შეკრებაზე მყოფმა ბოლნისის სიონმა მესამე სპარინგი უკრაინის პრემიერლიგის ოდესის ჩერნომორეცთან ჩაატარა და 0:1 დამარცხდა.

მატჩის ერთადერთი გოლი 58-ე წუთზე გავიდა, როდესაც გაგნიძემ ბურთი ვარლამ კილასონიას დაუბრუნა, ხოლო ეს უკანასკნელი წაიქცა და ნანიევთან პირისპირ გასულმა ბარილკომ შანსი ხელიდან არ გაუშვა.

ბოლნისელთა მთავარმა მწვრთნელმა ვარლამ კილასონიამ ასეთი სასტარტო შემადგენლობა დააყენა:

სიონი: ნანიევი, დავით საჯაია, სვანიძე, გურეშიძე, ვ.კილასონია, გოგინაშვილი, გოგობერიშვილი, რაზმაძე, გვალია, მანჯგალაძე, ტატანაშვილი

შეცვლაზე შევიდნენ: გაგნიძე, უგულავა, ისიანი, ფოფხაძე, კობახიძე, შალამბერიძე, ოთარიშვილი, მესხი.

ჩერნომორეცისა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ცენტრალური მცველი გიორგი გადრანი სასტარტო შემადგენლობაში იყო და პირველი ტაიმის მერე შეცვალეს.

საქართველოს ჩემპიონმა გორის დილამ თურქულ შეკრებაზე მორიგი ამხანაგური მატჩი სერბეთის სუპერლიგის იაგოდინასთან ჩაატარა და ფრედ, 2:2 ითამაშა.

მე-5 წუთზე, მარჯვენა ფრთიდან დილას საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს იაგოდინას შემტევი დაუხვდა და ანგარიში გახსნა – 0:1.

32-ე წუთზე, ისლამ მაშუკოვის საჯარიმოში წაქცევის გამო დილამ პენალტის დარტყმის უფლება მიიღო, რომელიც ზუსტად შეასრულა ირაკლი მოდებაძემ – 1:1.

მალევე გორელთა ერთ-ერთმა მცველმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა და იაგოდინა კვლავ წინ გავიდა.

79-ე წუთზე, ლევან საბაძის დაწყებული შეტევა მათე კვირკვიამ გააგრძელა, რომლის პასის შემდეგ მოდებაძემ დუბლი შეასრულა – 2:2.

დღეს დილა ამხანაგურ შეხვედრას დანიის პირველი დივიზიონის ვენდისელთან გამართავს.

იაგოდინასთან მატჩში მთავარმა მწვრთნელმა უჩა სოსიაშვილმა გუნდი ასეთი შემადგენლობით ათამაშა: მუჯრიშვილი, კვირკველია, ბაგაევი, ქარუქზაშვილი, ხურცილავა, ნონიკაშვილი (საბაძე 56), თექთურმანიძე (წიქარიძე 52), ძარია (ფალავანდიშვილი 75), კვირკვია, მაშუკოვი (ჩელებაძე, 46), მოდებაძე.

საფეხბურთო კლუბმა ზუგდიდმა თურქულ შეკრებაზე ყაზახეთის პირველი ლიგის საფეხბურთო კლუბ ყიზილორდას კაისარს სპარინგი 1:0 მოუგო. ზუგდიდელებიდან გამარჯვების გოლი 63-ე წუთზე ნიკა ქირიამ გაიტანა.

გუნდის მთავარმა მწვრთნელმა იური ბაკალოვმა ასეთი შემადგენლობა ათამაშა:

პირველი ტაიმი: ზარქუა, ქანთარია (ნარმანია 22), მაჩაიძე, გაგოშიძე, ჩანადირი, ტყემალაძე, მალანია, ცოტნე სამუშია, სიხარულია, კოვალენკო, ჩებატარიოვი

შეცვლაზე შევიდნენ: ჯომიდავა, თიბილაშვილი, გ.სამუშია, ლაშხია, წურწუმია, ქირია, ჭანტურია.

მეორე წრისთვის სახეშეცვლილი წარდგება თერჯოლის საპოვნელა, რომელმაც თურქულ შეკრებაზე ამხანაგური მატჩი მოლდოვის საფეხბურთო კლუბ ზიმბრუსთან 1:1 დაასრულა.

შეხვედრის პირველი ტაიმი უგოლოდ დასრულდა. მეორე ტაიმში მოლდოველების მიერ მოწოდებული კუთხურის შემდეგ, გიორგი ნარიმანიძემ ბურთი თავის კარში ჩაჭრა. ანგარიში გიორგი ტყეშელაშვილმა გაათანაბრა.

საპოვნელას მთავარმა მწვრთნელმა ზვიად ჯელაძემ გუნდი ასეთი შემადგენლობით ათამაშა:

სომხიშვილი, ოდიკაძე, ჩიკვილაძე, ბერუაშვილი, ვაჭარაძე, ნარიმანიძე (ბანძელაძე), ქათამაძე (ტყეშელაშვილი), შარიქაძე, კოშკაძე, ბოლქვაძე, დვალი (ბუხაიძე).

სხვა გუნდებისგან განსხვავებით, ესპანეთში იმყოფება შეკრებაზე თბილისის ლოკომოტივი, რომელიც ამხანაგურ მატჩში დონეცკის შახტარს დაუპირისპირდა.

მირჩა ლუჩესკუსა და ჟერარ სარაგოსას ფეხბურთელების დაპირისპირება უკრაინელთა სასარგებლოდ 5:2 დასრულდა.

აღსანიშნავია, რომ უკრაინულმა გრანდმა ლოკომოტივის წინააღმდეგ სრული შემადგენლობით ითამაშა. აღნიშნულ მატჩში მონაწილეობა ვერ მიიღო შახტარის ქართველმა ნახევარმცველმა, ყოფილმა ლოკომოტიველმა გიორგი არაბიძემ, რომელსაც ტრავმა აწუხებს.

ლოკომოტივის შემადგენლობიდან პირველი გოლი ბენაშვილმა 31-ე წუთზე პენალტით გაიტანა, მეორე გოლი კი უკრაინელებს ლოკომოტივის კაპიტანმა, ნიკა ჭანტურიამ გაუტანა.

ლოკომოტივი: თევდორაძე (კუპატაძე 46), ბენაშვილი (გაბაძე 46), ჩიტეიშვილი (უბილავა 46), გეთიაშვილი, ჭანტურია, მახარაძე (კიკნაძე 60), სულთანიშვილი, ქიქავა (სამურკასოვი 60), მზევაშვილი (დიასამიძე 46), ქანთარია (არდაზიშვილი 60), გავაშელიშვილი (ართმელაძე 46)

ლოკომოტივი მომდევნო მატჩს დღეს სლოვაკურ მიხალოვცე ზემპლინის წინააღმდეგ გამართავს.

ოლიმპმა აკადემიას ბოლო წამებზე მოუგო

აკადემია – ოლიმპი 74:76
(14:17; 13:13; 27:17; 20:29)

სუპერლიგის მე-15 ტურის გადადებულ მატჩში ერთმანეთს აკადემია და ოლიმპი შეხვდნენ, ორივე გუნდი ცხრილის ქვედა ნაწილში იმყოფება და გამარჯვება ორივესთვის ძვირად ფასობდა. შეხვედრაც მეტად დაძაბული და საინტერესო გამოვიდა, რომელიც ოლიმპის გამარჯვებით დასრულდა – 76:74.

მატჩის დასრულებამდე 6 წუთით ადრე აკადემია 9 ქულას იგებდა. კოკა ტომარაძისა და ჯეიარ სთროუბრიჯის შედეგიანი თამაშის წყალობით გელა წულაძის გაწვრთნილი აკადემიელები 66:57 დაწინაურდნენ, რაც აღნიშნულ მატჩში ყველაზე დიდი სხვაობა გახლდათ. ოლიმპელთა მომდევნო შეტევაში, სამქულიანი ტყორცნისას ლაშა ფარღალავაზე ტომარაძე დაჯარიმდა, რომელმაც მსაჯის გადაწყვეტილებას ემოციური რეაქცია მოაყოლა, რისთვისაც ტექნიკური ჯარიმითაც დაისაჯა. ფარღალავამ ოთხივე საჯარიმო ჩააგდო, ოლიმპელებმა ბონუს-შეტევაც შედეგიანად დაასრულეს და თამაში თანაბარ კალაპოტს დაუბრუნეს.

ბოლო წუთებზე თანაბარი თამაში გაჩაღდა, რომელშიც გამარჯვებული ოლიმპი გამოვიდა. რეზო როგავას სამქულიანი, მისივე დაფარება და ღესლი სმიტის შედეგიანი გარღვევა გადამწყვეტი გამოდგა და ოლიმპმა აკადემია 2 ქულით – 76:74 დაამარცხა.

გამარჯვებულთაგან სამმა კალათბურთელმა – ღესლი სმიტმა, ჯერემი ბაინამმა და ლაშა ფარღალავამ 18-18 ქულა მოაგროვეს. 11 ქულა, 6 ქულა დ 5 პასი დაგროვდა რეზო როგავას ანგარიშზე. აკადემიაში 22 ქულით ბომბარდირი გახდა ჯეიარ სთროუბრიჯი, საუკეთესო მონაგარი კი მორის ბრიგსის ანგარიშზეა – 18 ქულა და 17 მოხსნა.

საკუთნიო ცხრილი:

1.ბათუმი	16	11	51236-1162	27
2.ქუთაისი	16	10	61233-1163	26
3.დინამო	16	10	61129-1088	26
4.მგზავრები	16	9	71165-1207	25
5.სოხუმი	16	8	81229-1137	24
6.ოლიმპი	16	7	91159-1178	23
7.რუსთავი	16	6	101178-1220	22
8.აკადემია	16	3	131166-1340	19

ლილეჰამერში საქართველო 2 სპორტსმენით იასპარეზებს

საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელიც ზამთრის მეორე ახალგაზრდულ ოლიმპიური თამაშებზე საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის გამგზავრებას მიეძღვნა.

საქართველო ზამთრის თამაშებზე, ისევე, როგორც 4 წლის წინ ინსბრუკში გამართულ პირველ ამგვარ თამაშებზე, ორი სპორტსმენით წარდგება: მოციგავეთა ტურნირზე გამოვა ლაშა ფერაძე, სამთო თხილამურობის ორ დისციპლინაში კი ბესარიონ ჯაფარიძე იასპარეზებს.

მოციგავეთა შეჯიბრება 14 თებერვალს ჩატარდება, ჯაფარიძე კი სტარტს 16 თებერვალს გიგანტურ სლალომში აიღებს, ხოლო სამი დღის შემდეგ, 19 თებერვალს სლალომისტთა ტურნირში ჩაებმება.

ალექსანდრე იაშვილი: დინამოს მიზანი გამარჯვება და ტიტულებია

ერთ-ერთი საინტერესო მოვლენა, რომელიც ბოლო დროს ქართულ ფეხბურთში მოხდა, ალექსანდრე იაშვილის მშობლიურ კლუბში დაბრუნება იყო. იაშვილი გუნდის ლიდერი და კაპიტანია. როდესაც იაშკა მოედანზეა, დინამოელთა შეტევებს მეტი კრეატივი აქვს.

ვეტერანი ფეხბურთელი დინამოს ახალ მთავარ მწვრთნელზე, თურქულ შეკრებასა და დინამოს მიზნებზე საუბრობს.

– რას იტყვით თურქულ შეკრებაზე?

– ეს შეკრება, როგორც მოქმედი ფეხბურთელისთვის, ჩემი გადაწყვეტილებით ბოლოა. აქედან გამომდინარე ორმაგად მნიშვნელოვანია. ბუნებრივია, სრულფასოვანი შეკრების გარეშე წარმოუდგენელია სერიოზულ შედეგზე ფიქრი. აქ, ყველა ფეხბურთელი მაქსიმალურად ცდილობს თავისი საუკეთესო თვისებების წარმოჩენას. ჩვენთან ყველა პირობა იდეალურია.

– დინამოს ახალი მწვრთნელი ჰყავს – იურაი იარაბეკი, რას იტყოდით მასზე?

– პირველ რიგში აღსანიშნავია ის საფუძვლიანი სამუშაო, რაც გია გეგუჩაძემ ჩაატარა. დინამოსთვის არ იყო იოლი მასთან დაშორება, მაგრამ დაუთმო სანაკრებო არეალი. ჩემი მხრიდან წარმატებებს ვუსურვებ მომავალ საქმიანობაში. ბუნებრივია, ცვლილებები ხდება და ეს ჩვეულებრივი პროცესია. რაც შეეხება ახალ მწვრთნელს, მას უნდა თავისი თამაშის ჩვენება. ამისთვის დროც სჭირდება, თუმცა თავიდანვე ჩანს, რომ საინტერესო სამუშაო პროცესი აქვს. ძალიან გახსნილი და კომუნიკაბელურია, რაც ასევე უმნიშვნელოვანესია. ითხოვს აგრესიულ და სწრაფ თამაშს, ეს ფილოსოფია კი ემთხვევა ჩვენსას და დარწმუნებული ვარ, ყველაფერი გამოგვივა.

– შეკრებაზე ჩატარებულ სპარინგებზე რას გვეტყვით?

– სამივე გუნდი, ვისაც უკვე შევხვდით, საინტერესო და ძლიერი პარტნიორი გამოდგა. მომავალი ორი მეტოქეც სოლიდური გუნდია. სპარინგებით არ ღირს საბოლოო შეფასების გამოტანა, თუმცა აუცილებელია სწორი ანალიზის გაკეთება, მით უმეტეს, ახალგაზრდებისთვის.

– გუნდში ბევრი ახალწვეულია, რა შემატეს მათ გუნდს, როგორი გარემოა და რა მიზნები აქვს დინამოს?

– დინამომ ნაკრების სამი მოქმედი ფეხბურთელი დაიმატა, რომლებიც წლების მანძილზე სხვადასხვა ევროპულ კლუბებში თამაშობდნენ. ასევე დავიმატეთ გამოცდილი და არცთუ შორეულ წარსულში წარმატებული ესპანელი დინამოელი მიკელ ალვარო. ეს, რა თქმა უნდა, კონკურენციას ამაღლებს, რაც ასევე აუცილებელია.

რაც შეეხება ჩვენს მიზნებს, დინამოს მხოლოდ ერთი მიზანი აქვს – გამარჯვება და ტიტულების მოპოვება, ევროარენაზე წარმატებით გამოსვლა და გულშემატკივრის გახარება.

შედეგები

9 თებერვალი
ფეხბურთი

ინგლისი. ასოციაციის თასი
ვესტ ჰემი-ლივერპული ..... 2:1(დდ)

ინგლისი. ჰიმიჰიმპი
მილტონი-მიდლსბრო 1:1

გერმანია. თასი
ლევერკუზენი-ვერდერი 1:3
შტუტგარტი-დორტმუნდი 1:3

ავსტრია. თასი
მატერსბურგი-სტ.პოლენი 1:2
აუსტრია-ლინცი 1:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78. 234-02-38 ქ-ნი მარიამი

თახვი არასწორი პროგნოზისთვის დააპატიმრეს

კონეკტიკუტის შტატის ქალაქ საფილდის პოლიციამ ხუმრობით თახვი, სახელად ჩაკლს-VIII, დააპატიმრა არასწორი პროგნოზისთვის. ცხოველის მიერ რამდენიმე დღის წინ გაკეთებული პროგნოზიდან, რომლითაც მან გაზაფხულის ნაადრევი დადგომა იწინასწარმეტყველა, კონეკტიკუტში უხვი ნალექი მოვიდა თოვლის სახით.

სოციალურ ქსელში განთავსებულ იუმორისტულ პოსტში პოლიციამ აღნიშნა, რომ თახვს ექვსკვირიანი პატიმრობა ემუქრება. ცხოველის „დაპატიმრება“ 6 თებერვალს განხორციელდა.

თახვს სიცრუის ბრალდება აქვს წაყენებული და ის ქალაქის ცხოველებზე კონტროლის სამსახურში იმყოფება, სადაც ჩვეულებრივ გასამართლების მომლოდინე ცხოველებს ათავსებენ.

საფილდის სამართალდამცავმა ორგანოებმა მანჩესტერის საბავშვო მუზეუმისთვის, სადაც ჩაკლსმა ნაადრევი გაზაფხული იწინასწარმეტყველა, თანხების შეგროვების კამპანია წამოიწყეს. ამ კამპანიის არსი იმაში მდგომარეობს, რომ თანხები მღრღნელის გირაოთი გასათავისუფლებლად შეგროვდეს. ცხოველის გამოსასყიდ თანხად 10 ათასი დოლარია დადგენილი.

ელისაბედ II ლონდონში მატარებლით დაბრუნდა

დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ II შვებულებიდან ლონდონში ჩვეულებრივი მატარებლით დაბრუნდა. მისი უდიდებულესობა დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში ნორფოლკის საგრაფოდან ჩამოვიდა, სადაც ის ტრადიციულად ზამთრის შვებულებას ატარებს.

ბრიტანულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ელისაბედ II-მ პირველი კლასით იმგზავრა. მან სადგურ კინს-ლინიში თავისი ადგილი მატარებლის გასვლამდე ხუთი წუთით ადრე დაიკავა. ლონდონის კინგს-კროსის სადგურამდე მგზავრობას საათი და 40 წუთი დასჭირდა, ხოლო მგზავრობის ღირებულებამ 54,9 ფუნტი სტერლინგი (79 დოლარი) შეადგინა.

– მე მას ვკითხე, კმაყოფილი იყო თუ არა ნორფოლკში ვიზიტით და მან დადებითი პასუხი გამცა, – განაცხადა კინს-ლინის სადგურის უფროსმა გრემ პრეტმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ფინელმა მეხანძრემ მსოფლიო რეკორდი დაამყარა

ფინელმა მეხანძრემ იონას მიაკიპელტომ ორძელზე აზიდვებში მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მან 5050 აზიდვა განახორციელა. მეხანძრეს 18 საათი დასჭირდა ადრინდელი შედეგის 5045 აზიდვის დასამხობად.

თავად ფინელის თქმით, ის თავდაპირველად ექვსი ათასჯერ აზიდვას გეგმავდა, მაგრამ ამაში მას ხელი მხარის ტრავმამ შეუშალა, რომელიც მან ვარჯიშის შესრულების დაწყებიდან მე-8 საათზე მიიღო.

ღონისძიების მიმდინარეობას თვალს ბოლომდე მხოლოდ ოთხი ადამიანისგან შემდგარი მხარდამჭერთა გუნდი და გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენლები ადევნებდნენ.

ავსტრალიაში ალბინოსი კუ აღმოაჩინეს



ავსტრალიის კვინცლედის შტატის სანაპიროზე, პლაჟების მოვლის სამსახურის მოხალისეებმა უიშვიათესი თეთრი კუ აღმოაჩინეს. ალბინოსი მწვანე კუს 122 ნაშიერს შორის აღმოჩნდა.

დოქტორმა კოლ ლიმპუსმა, რომელიც გარემოს დაცვისა და მემკვიდრეობის დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენელია, განაცხადა, რომ მწვანე კუს ალბინოსი ნაშიერის გამოჩეკვა უიშვიათეს მოვლენას წარმოადგენს. ასეთი შეფერილობის კუ ასეულ ათასობით დადებული კვერცხიდან, შესაძლოა ერთიდან გამოიჩეკოს.

ალბინოსებისთვის დამახასიათებელია კანის, ბეწვისა და თვალის გარსის შეფერილობის ინტენსიურობის შემცირება. ეს მოვლენა დაკავშირებულია იმ ფერმენტის დეფექტურობასთან, რომელიც მელანინის პიგმენტის სინთეზში მონაწილეობს. იმისთვის რომ ალბინოსი ნაშიერი დაიბადოს, ორივე მშობელს უნდა ჰქონდეს დეფექტური გენი.

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

სპორტი

კატალონიელმა ჟურნალისტმა რეალის თვითმფრინავი დაწყევლა

კატალონიელმა ჟურნალისტმა ვიქტორ ალტადილმ მადრიდის რეალზე ძალიან უტაქტოდ იხუმრა, რაც მას სამსახურის დაკარგვის ფასად დაუჯდა.

ვიქტორი ერთ-ერთ რადიოში მუშაობდა და მან რეალზე ასეთი რამ თქვა:

– იმედი მაქვს, მადრიდული კლუბის თვითმფრინავს ფრთები დააღალატებს.

ამ განცხადების შემდეგ ალტადილი მალე გაუშვეს სამსახურიდან, რადგან რადიოს ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ასეთი რამ მათი პრინციპებისთვის დაუშვებელია და ეწინააღმდეგება ჟურნალისტური ეთიკის ნორმებს.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევის შემდეგ ვიქტორს რეალი კიდევ უფრო შეზიზღდება და მომავალში სამეფო გუნდისთვის ახალ წყევლასაც მოიგონებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ედენ აზარი ჩელსიდან მიდის



როგორც ჩანს, ედენ აზარის და ჩელსის სიყვარულის ისტორია დასასრულს უახლოვდება. აზარი წლევანდელ სეზონში საკუთარ თავს არ ჰგავს და მის ანგარიშზე ინგლისის ჩემპიონატში არც ერთი გატანილი გოლი არ არის.

ჩელსის მფლობელი რომან აბრამოვიჩი მზად არის, ბელგიელი ფეხბურთელი გაყიდოს, თან გაცილებით იაფად, ვიდრე ადრე გაყიდდა.

თვითონ აზარს კარიერის გაგრძელება მადრიდის რეალში უნდა და მას შეიძლება ეს სურვილი აუსრულდეს, რადგან რეალის მწვრთნელ ზინედინ ზიდანს ბელგიელი ფეხბურთელი ძალიან მოსწონს.

აზარის სატრანსფერო ფასი 25 მილიონ ევრომდე შემცირდა, შარშან კი ეს თანხა 100 მილიონ ევროს აღწევდა.

ეს ტრანსფერი, სავარაუდოდ, ზაფხულში განხორციელდება.

ენდი მარეი მამა გახდა



შოტლანდიელი ჩოგბურთელის ენდი მარეის ცხოვრებაში ძალიან სასიამოვნო სიახლეა. ის და მისი მეუღლე კიმ საერსი მშობლები გახდნენ.

სამშაბათს, 9 თებერვალს, მათ გოგონა შეეძინათ, რომლის სახელიც ჯერჯერობით უცნობია.

კიმი და ენდი დიდი ხნის მანძილზე იყვნენ ერთად და მათი ურთიერთობა გასულ ზაფხულს ქორწილითაც დასრულდა.

კიმის მამა საჩოგბურთო მწვრთნელი ნაიჯელ საერსია და წყვილმა ერთმანეთი სწორედ მისი მეშვეობით გაიცნო.

ენდი მარეი შვილის დაბადების გამო მცირე პაუზასაც აიღებს და ჯერჯერობით უცნობია, როდის დაბრუნდება კორტზე.

ასტროპროგნოზი

11 თებერვლისათვის

ვერძი – გრძელვადიანი გეგმებისთვის შეუფერებელი პერიოდია. თქვენი ყველა პრობლემა ფინანსურ დანაკარგებს უკავშირდება. **კურო** – საკუთარი მოვალეობები დიდი პასუხისმგებლობით შეასრულეთ. შანსს ნუ გაუშვებთ, პირადი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოთ. პრობლემების მოგვარებაში ახალი ნაცნობები დაგეხმარებიან. **ტყუპები** – ეს დღე ნეგატიური ტენდენციებით ხასიათდება. ნებისმიერი კომერციული აქტივობა ფინანსური კრახით დამთავრდება. საღამოს საკუთარ თავს პატარა დღესასწაული მოუწყვეთ. **კირჩხიბი** – დაკმაყოფილდით იმით, რასაც ცხოვრება შემოგთავაზებთ. პარტნიორთან კონფლიქტს მხოლოდ გულითადი საუბრით მოაგვარებთ. **ლომი** – მიზნის მისაღწევად დიდი შრომა გჭირდებათ. ჯანმრთელობისთვის სახიფათო პერიოდია. სიზმარი, სავარაუდოდ, წინასწარმეტყველური იქნება. **ქალწული** – აჩქარება არ ივარგებს. სამსახურში წინსვლა გელით. საქმე მოთმინებით აკეთეთ. **სასწორი** – გარშემომყოფები თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე უარყოფით გავლენას ახდენენ. ერიდეთ კამათს მეგობრებთან. საღამო ბუნების წიაღში გაატარეთ. **ღრიანკალი** – ახალი ნაცნობობა სასარგებლო იქნება. დღის დევიზია დიდსულოვნება, სულიერი წონასწორობა, ურთიერთობა მეგობრებთან და ახლობლებთან. **მშვილდოსანი** – არ გადაიღალოთ. თქვენი ჯანმრთელობისათვის დღეს საჭიროა დასვენება მყუდრო გარემოში. წვრილმან უსიამოვნებებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ. ყველაფერი მალე გამოსწორდება. **თხის რქა** – წარმატებისკენ დაუოკებელი სწრაფვა სასურველ შედეგს გამოიღებს. გარშემომყოფებთან ურთიერთობისას მეტი თავშეკავება და წინდახედულობა გამოიჩინეთ. **მერწყული** – დაძაბული დღეა. გახსოვდეთ, ცხოვრება ბრძოლაა. ახალი იდეების განხორციელებას თამამად შეუდექით. ფინანსებს გაუფრთხილდით. **თევზები** – დღეს თქვენს საუკეთესო თვისებებს მთელი სისრულით წარმოაჩენთ. ნებისმიერი საქმიანი წინადადება მხოლოდ გულმოდგინე ანალიზის შემდეგ მიიღეთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. იაპონიაში განთავსებული, მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ატომური ელექტროსადგური; 2. მე-17 საუკუნის ქართველი დიპლომატი ქალი; 3. ჩინური ფინიკი; 4. სუპერმარკეტი თბილისში; 5. ეგვიპტელი ქრისტიანები; 10. სასიმღერე ხმა, მრავალხმიან ქართულ სიმღერაში; 11. დასავლეთ საქართველოსი გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის სუფრის ჯიში; 12. სამხედრო გემების დიდი შენაერთი; 15. წყლის საათი; 16. კუნთების კრუნჩხვითი შეკუმშვა; 17. გიორგი კობახიძის მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია; 20. ყოველკვირეული ქართული ჟურნალი.

თარაზულად: 6. მონასტერი ბოლნისის რაიონში; 7. მდინარე ნიუ იორკში; 8. აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი; 9. ქართული ხალხური ზღაპარი; 13. ხელოვნების ერთ-ერთი ჟანრი; 14. რთული, დახლართული საქმე სასამართლო პრაქტიკაში; 18. საფოსტო გზავნილება; 19. აკვიატებული შიში; 21. მზის სისტემის პლანეტა; 22. საქარხნო ღუმლების მშენებლობაში გამოყენებული ცეცხლგამძლე აგური; 23. ღვინის დუქანი ძველ თბილისში; 24. ირანის ძველი სახელწოდება.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. კოფეინი; 2. უნგრეთი; 3. პიგმენტი; 4. ზარაფი; 5. ვენგერი; 8. ლიქიორი; 9. მამისონი; 12. გროტესკი; 13. სტატუსი; 16. ბაბუშერა; 17. „ძელშავი“; 19. ამპერი; 20. რაპირა.

თარაზულად: 6. კომანდორი; 7. მავრები; 8. „ლამარა“; 10. დიოგენი; 11. რემა; 14. მეტაფორა; 15. სომბრერო; 18. მანეჟი; 21. მისხალი; 22. მალტა; 23. ისრიმი; 24. „ნატახტარი“.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პაგანინი; 2. ონაგატა; 3. მძივი; 4. ერქვანი; 5. „მეეზოვე“; 10. ფორსინგი; 11. თაყაიშვილი; 12. პროექტი; 15. პანიტერია; 16. ჩხოუში; 17. ჩაფხუტი; 20. დრაჟე.

თარაზულად: 6. საკანდელიძე; 7. დროზერა; 8. არიზონა; 9. „ლინატე“; 13. „ლელო“; 14. „ჰამერი“; 18. პერინიონი; 19. კანიო; 21. გრილი; 22. ფიზიკა; 23. ციხისძირი; 24. ტრაილერი.

დავით აღმაშენებელი რჩეულ მთავარსარდალთა ათეულშია

საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მეფე დავით IV, რომელსაც აღმაშენებელი ეწოდა და ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა, საუკეთესოდ დასახელდა. ერთ-ერთ უცხოურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა მხედართმთავართა სია, რომლებიც ინტერნეტმომხმარებლებმა შეარჩიეს. მხედართმთავართა ჩამონათვალში რამდენიმე ქართველი მოხვდა, მათ შორის დავით აღმაშენებელი, გიორგი სააკაძე, ვახტანგ გორგასალი და იოსებ სტალინი.

ვებ გვერდმა საბოლოოდ გამოაქვეყნა იმ 10 მხედართმთავრის სია, რომლებიც მსოფლიოს ყველა დროის უძლიერეს მხედართმთავრებად დასახელდნენ. მსოფლიოს საუკეთესო და გამორჩეული სამხედრო გენერალთან შორის მესამე ადგილი დავით აღმაშენებელმა დაიკავა.

ტოპ ათეულში მოხვდნენ ისეთი ცნობილი ისტორიული პიროვნებები, როგორებიც არიან ალექსანდრე მაკედონელი, იულიუს კეისარი, ჩინგიზ ყაენი, ნაპოლეონი.

საუკეთესო სამხედრო გენერლების ტოპ ათეული ასეთია:

1. ალექსანდრე მაკედონელი – მაკედონიის მეფე;
2. ტრან ჰუნგ დაო – უმაღლესი მთავარსარდალი ვიეტნამში;
3. დავით IV აღმაშენებელი – საქართველოს მეფე;
4. ნაპოლეონ ბონაპარტი – საფრანგეთის სამხედრო და პოლიტიკური ლიდერი;
5. ჰანიბალ ბარკა – კართაგენის მხედართმთავარი;
6. იულიუს კეისარი – ძველი რომის სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი;
7. ჩინგიზ ყაენი – მონღოლი პოლიტიკური და სამხედრო ლიდერი;
8. ვო ნგუენ ზიაპ – ვიეტნამელი გენერალი;
9. ხალიდ იბნ ალ ვალიდი – მუსლიმი არაბი მეომარი და გენერალი;
10. ნგუენ ჰიუე – გლეხთა ომის ბელადი ვიეტნამში.

სამგლოვიარო განცხადებები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო და განათლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახური ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის №2 საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი

მზიური გვალია

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.



გარდაიცვალა სოფლის მეურნეობის ღვაწლმოსილი მუშაკი, შრომის ვეტერანი, აფხაზეთის დამსახურებული ზოოტექნიკოსი, კაცურკაცობის ეტალონი, კოლორიტული პიროვნება, უღალატო მეგობარი, ყველას გამკითხავი და ქომაგი

ოთარ სერგოს ძე გიორგობიანი

ბატონი ოთარი იყო ცაგერის რაიონიდან და უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ განაწილდა გალის რაიონის სოფელ ნაბაკევში, სადაც ხელმძღვანელობდა მეცხოველეობის კომპლექს, გააჩნდა უდიდესი წარმატებები.

იქ შექმნა ოჯახი და დამკვიდრდა აფხაზეთში.

მეგობრები დიდ მწუხარებას გამოხატავენ და უსამძიმრებენ მის ოჯახს.

ანატოლი შამუგია, ბონდო გერგედავა, ჯემალ ადამია, ვახტანგ ორჟონია, ჟილინ ფაცაცია, ჯიმშერ ეხვაია, ცეზარ ყვავაძე, რეზო სილაგავა, ლივტერ ჯღარკავა, რაჟდენ ქარდავა, ომარ უზარაშვილი

დეიდა ქეთევანი, შვილები თინათინი, ზვიადი, ზურაბი, ზაური, რუსუდანი, გიგი ოჯახებით, შვილიშვილები, დისშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზაურ გრიგოლის ძე ზარნაძე

მისამართი: ვ.ბერიძის 3/3.

გამოსვენება: ხუთშაბათს, 11 თებერვალს, 14 საათზე, წმ. ნინოს ტაძრიდან (ჩიტაძის ქუჩა).

შვილები: რუსუდან, ლევან, ჯანსუღ (ჯანო), გიორგი (გოგა) დადეშქელიანები, დები ლიანა, ძმები სერგო, ჯემალი, ძმისშვილი ალექსი (ლექსო) ხერგიანები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ნელი გერმანეს ასულ ხერგიანი-დადეშქელიანის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 11, 12 თებერვალს, 16 საათზე, ფალიაშვილის ქუჩა №92.

გამოსვენება: 13 თებერვალს, 14 საათზე, საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან.

სერგო ხერგიანი

საქართველოს პენსიონერთა კავშირის გამგეობა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის სერგო ხერგიანის დის

ნელი ხერგიანი-დადეშქელიანის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახსა და მის ახლობლებს.

პანაშვიდი: 11, 12 თებერვალს, ფალიაშვილის ქუჩა №92.

გამოსვენება: 13 თებერვალს, 14 საათზე, საბურთალოს ამაღლების სახელობის ეკლესიიდან.

სერგო მანჯგალაძე

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

მაია დარსმელიძე: „მეზიზღებით!“

მუსიკოსი და მომღერალი მაია დარსმელიძე საზოგადოების იმ ნაწილის მიმართ გრძნობს ზიზღს, ვინც აქეზებს სხვებს, ჩაიდინონ ბოროტება და გაიუბედურონ მთელი ცხოვრება.

მაია დარსმელიძე:

– ჰომოფობებო, მეზიზღებით. თქვენ აქეზებთ თქვენნაირებს, რომლებიც კლავენ და მერე უბედურ შემთხვევად ასაღებენ.

ჩემთვისაც შეიძლება ვინმე ვულგარული ან გამაღიზიანებელი იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს თქვენნაირი მშშარა არსებებია... ნუ გეშინიათ, რაც გიწერიათ – არ აგცდებათ. თქვენ ისიც კი არ იცით, რომ გეები არ ხდებიან, უნდათ თუ არა, ასეთებად იბადებიან.

ამ ჰომოფობიურ ქვეყანაში შესაძლოა ეს თქვენი შვილიც იყოს, რომელიც უბრალოდ ხვდება, რომ ხე ყავს მშობელი და სწორედ ამიტომ, არ იცით, რა დაბადეთ. ხედავთ, როგორი ჯაჭვია? მხოლოდ მაშინ გაერკვევით ვინ არის თქვენი შვილი და გაქვთ თუ არა „ნერვიულობის“ საფუძველი, როდესაც შეწყდება ეს ჰომოფობიური აგრესია.

ბუბა კუდავას ქურდმა ტელეფონი მოპარა და ფილოსოფიური წერილი დაუტოვა

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელი, ისტორიკოსი ბუბა კუდავა გაქურდეს. შემთხვევა მის საცხოვრებელ სახლში დღისით მოხდა და თანაც მაშინ, როცა ოჯახის ყველა წევრი სახლში იმყოფებოდა. ქურდმა ისტორიკოსს მობილური ტელეფონი მოპარა და ფილოსოფიური წერილიც დაუტოვა.

ბუბა კუდავა:

მობილური ტელეფონი მომპარეს. სახლიდან.

კარი ღია იყო. მიკეტილი, მაგრამ ღია. შემოაღო მავანმა კრიმინალმა და ტელეფონი და ორი ჩანთა გააქრო. დღისით-მზისით. სახლში ვიყავით თან.

მატერიალურს არაფერს ვჩივი. წაიღო რამდენიმე სხვაგვარად ძვირფასი რამ და ტელეფონში ჩაწერილი ინფორმაცია, ფოტოები, აუდიოვიდეო და სხვა, ასეთი რამ პირველად მესმისო, პოლიციელსაც გაუკვირდა.

სამაგიეროდ, იქვე, ფოიეში საჩუქრად დამიტოვა სათუთად შეხვეული გამოცდილება.

მასზე ეწერა, რომ გული და კარი ერთმანეთს ჰგავს. რომ ორივე იღება, მაგრამ ფართოდ არც ერთი არ უნდა გააღო. ღიად არც ერთი არ უნდა დატოვო, ორპირი იცისო. თუ მიხურავ და არ დაკეტავ, ნუ იქნები მშვიდად, შემოაღებენ და რაიმე ძვირფასს წაგცანცლებენო. ვისაც გაუღებ, სავალდებულო არ არის, ყველა შემოვიდეს. ვინც შემოსაშვებია, შემოუშვი და ისევ დაკეტე, თორემ არ დაგაცლიან მუსაიფსოო. ნუ, ყველა რომ არ შემოიშვება, ეს ისედაც იცი და ახლა ზედმეტ ჭკუის სწავლებებს არ

დაგიწყებოო...

კიდევ ბევრი რამ ეწერა, მაგრამ ვერ ჩავიკითხე ჯერ ბოლომდე. რაც წავიკითხე, ისიც ყველაფერი ვერ დავიმახსოვრე.

დედააზრი კი კარგად მახსოვს: ნუ დატოვებთ კარებს ღიადოო.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სპორტი

ფაჩულიას დაბადების დღე თანაგუნდელებმა ვერ მიულოცეს

ზაზა ფაჩულიას დაბადების დღეს დალას მავერიკსმა იუტა ჯაზს უმასპინძლა და ამ გუნდის წარმატებული სვლა, რომელიც ამ შეხვედრამდე 6 მოგებას შეადგენდა, ვერ შეწყვიტა.

ტეხასელებმა დასანანი მარცხი განიცადეს – იუტელებმა ორჯერ ჩააგდეს საფინალო სირენის თანხლებით ბურთი: ჯერ ძირითადი დროის დასრულებასთან ერთად როდნი ჰუდმა მიითვალა გამთანაბრებელი სამქულიანი, ხოლო შემდეგ, ოვერტაიმის საფინალო სირენის თანხლებით ჩააგდო გორდონ ჰეიკარდმა გამარჯვების ორიანი – 121:119.

ფაჩულია სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 41 წუთი გაატარა. ქართველმა ცენტრმა 4-დან 1 ორქულიანი და 6-დან 5 საჯარიმო ჩააგდო. 7 ქულასთან ერთად ზაზამ 11 მოხსნა და 5 პასი მიითვალა.

29 მოგებითა და 26 მარცხით დალასი დასავლეთ კონფერენციაში მე-6 ადგილზეა. მის შემდეგ სწორედ იუტა მოდის 26 მოგებითა და 25 მარცხით.

ახლა დალასს 10-დღიანი დასვენება ელის, რაც ნბა-ს ყველა ვარსკვლავის უიკენდითაა გამოწვეული.

20 თებერვალს ფაჩულიას გუნდი ფლორიდაში ჩავა და ორლანდოს შეხვდება.

მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა

პროგრამა

ხუთშაბათი 11 თებერვალი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 01.00 "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **10.50, 23.00** ტ/სერ. "**დაუნტონის საბაბატო**" **12.30** "ტრანსმისია" (შაბ/გ/ჩვ) **13.00** ტ/სერ. "**ჩინტრო ვებრინე**" **14.05** "წიგნების თარო" **14.30** ან/ფ "მხიარული ფერმა" **15.00** დ/ფ "ჯეიმის ამერიკული საგზაო თავგადასავალი" **16.45** "ეკონომტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქისლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30** "ინტერვიუ" – სალომე ასათიანთან ერთად **21.00** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **22.00** დ/ფ "თოფ-გიარი" **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**ბოლო სახლი მარცხნივ**"

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **11.00** დ/ფ "შტაინერების ოჯახი" **13.00** დ/ფ "მუსორგსკი – სურათები გამოფენიდან" **14.00, 16.00** ტ/სერ. "**ნიკიტა** **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (5 ენაზე) **21.30** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო"

06.30, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.35** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 10.05** იმედის დილა **10.05** სერ. "**ოცი წუთი**" **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **4** სერ. **12.30** დღის შოუ **16.00** სერ. "**თანხმობა**" **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **00.00** მხ/ფ "**ფარული ნაბიჯით**" (დ.ჯონსონი) **01.45** მხ/ფ "**ახალშობილი**" (ს.მაკინტოში) **03.25** ერთხელ საქართველოში **04.55** მხ/ფ "**დამრიგებელი**" (მ.სტრიპი)

06.30 სერ. "**დაკარგული გავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საბა**" **18.45** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.45, 20.05** სერ. "**აღთქმა**" **22.00** პროფილი **00.00**P.S.**01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

8.30, 18.30 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები. **09.00, 15.30** Discovery ისტორიის საიდუმლოებათა ამოხსნა ოლი სტიდსთან ერთად **10.00** ან/სერ. "**ავატარი ლეგენდა აანგის შესახებ**" **11.00** მზარეულები **11.30** შუადღე **14.00** ცოლები და ქმრები **14.30, 19.00** სერ. "**ახალი გოგო**". სეზ. **4,** სერ. **16, 17. 15.00, 19.30** სერ. "**ცენტრი**" სეზ. **4,** სერ. **16, 17. 16.30** აირჩიე კაბა **17.30** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **20.00** ცოლები და ქმრები **20.30 20.30 22.00** მზარეულები **22.30** ბინა **18 23.30** მხ/ფ "**თამაში წესების გარეშე**" **01.10 ID Extra** სასჯელს თითქმის გავექეცი **02.00, URBAN STORIES 02.50** ჯიდიპედია

06.15 ჩვენი ფონდი **06.40** პატერიკი **06.50** დეკორატიული ფლორა "ზეთის ხილის ხე" **07.05** ქართული ალბომი **07.50** ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**მონანიება**"II სერ. **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "ბზა" **15.05** ივერიის ეკლესია **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.50** ჩვენი ფონდი **16.20** კონცერტი **17.35** დ/ფ "სამეგრელო-ლეტამის მღვიმე" **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო-მღვდლის მსახურება **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** პორტრეტები **20.00** სიმღერის კვალდაკვალ "ნეკრესი" (ლაგოდეხი) **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** თვენი "წმ. მეფე აშოტ კურაპალატი" **21.30** ლექციები მეფუტკრეობაზე **21.45** ფსალმუნის განმარტება **22.25** ერთსულოვანი ოჯახი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ "წმ. მეფე აშოტ კურაპალატი" **01.25** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.55** გადაცემა "საქმიანი დილა" **10.05** სერ. "**სხვისი სხეული**" **11.05** სერ. "**ძუზეი და გუნეი**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30** დოკ/ფ "პროფესია მოგზაური" **14.05, 15.30, 16.05, 17.05, 1.00** სერ. "**კარმელიტა**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05, 2.30** სერ. სერ. "**ბერძენი ქალი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45, 22.30** სერ. "**გჯეროდეს**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

11 თებერვლისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4874	ევრო — 2.7782
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5973	100 რუსული რუბლი — 3.2342

ამინდის პროგნოზი 11 თებერვლისთვის

კალეიდოსკოპი

ახლად შეუღლებულებმა ფოტოსესია დანგრეულ ქალაქში მოაწყვეს

სირიელმა ახლად დაქორწინებულებმა ნადა მერხიმ და ჰასან იუსეფმა თავიანთი საქორწინო ფოტოსესიის ფონად ქალაქ ჰომსის ნანგრევები შეარჩიეს. ეს სირიაში მიმდინარე საომარი მოქმედებების შედეგად ყველაზე დანგრეული ქალაქია.

საქორწინო ცერემონიის შემდეგ 18 წლის მერხისა და 27 წლის იუსეფს სურათებს საქორწინო ცერემონიების ფოტოგრაფი ჯაფარ მერაი და ფოტოკორესპონდენტი ჯოზეფ ეიდი უღებდნენ. ეს უკანასკნელი სააგენტო ფრანს-პრესის წარმომადგენელია. ამ ჩანაფიქრის ავტორი მერაი იყო, რომელსაც ამ ფოტოსესიით სურდა ეჩვენებინა, „რომ სიცოცხლე სიკვდილზე ძლიერია“.

აღსანიშნავია, რომ მერხი და იუსეფი პირველი ახლად დაქორწინებულები არ არიან, რომლებსაც მერაიმ სურათები ჰომსის ნანგრევების ფონზე გადაუღო. 2015 წელს მან ანალოგიური გადაღებები მოაწყო, რომელიც შემდეგ ფეისბუქში განათავსა და განმარტება დაურთო: „ცხოვრება ნელ-ნელა თავისი გზით მიდის“.

ექვსი წლის წინ შეძენილი „მაკდონალდსის“ კერძი ახლივით გამოიყურება

აშშ-ს მცხოვრები ჯენიფერ ლოვდალი შეეცადა ექსპერიმენტის შედეგად დაედგინა, თუ რამდენად დიდხანს შეინახებოდა სწრაფი კვების რესტორნების ქსელის „მაკდონალდსის“ საკვები პროდუქტი. ამისთვის ის ოფისში ექვსი წლის მანძილზე ინახავდა თავის „ჰეფი მილს“.

ამ ვადის გასვლის შემდეგ ქათმის ნაგეთსისა და პატარა კარტოფილი ფრისგან შემდგარი საუზმე, ახალივით გამოიყურება.

ფეისბუქზე განთავსებულ საკუთარ შეტყობინებაში ჯენიფერმა აღნიშნა, რომ საკვები არ გაფუჭებულა, ობი არ მოკიდებია და არ დამპალა. მას უბრალოდ მუყაოს სუნი გაუჩნდა.

ექსპერიმენტის შედეგების გათვალისწინებით, ამერიკელმა ქალბატონმა ვარაუდი გამოთქვა, რომ „მაკდონალდსის“ კერძები დიდი რაოდენობით ქიმიურ ნივთიერებებს შეიცავს.

– შესაფუთი მასალა უფრო მალე ფუჭდება, ვიდრე თავად კერძი, ეს საშინელებაა, – დაწერა ჯენიფერმა.

ჯიჯი ჰადიდი ვოგისთვის გაშიშვლდა

სუპერმოდელმა ჟურნალ ვოგის ფრანგული ვერსიის გარეკანისთვის ეროტიული ფოტოსურათები გადაიღო. მანეკენმა ფოტოსურათი ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე განათავსა.

ფოტოსესიისთვის ჰადიდმა მხოლოდ მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი და ოქროს სამკაულები მოირგო.

– ამ ვარიანტში მე მხოლოდ შანელ № 5 მასხია, – დაწერა სოციალურ ქსელში 20 წლის მანეკენმა. აღსანიშნავია, რომ სოციალურ ქსელში გოგონას აკაუნტს 13 მილიონამდე ხელისმომწერი ჰყავს.

მანამდე კი ჰადიდმა ჟურნალის გარეკანის მეორე ვარიანტი გამოაქვეყნა, რომელზეც მას შანელის პიჯაკი აცვია. ვოგის რომელი ვარიანტი გამოვა 18 თებერვალს, უცნობია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



16 თებერვლიდან

გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

ლუის სუარესი

ზღვარს მიღმა. ჩემი ამბავი

ბარსელონას სუპერფორვარდი ლუის სუარესი თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ფეხბურთელია.

წიგნში ზღვარს მიღმა ლუის სუარესი გულწრფელად საუბრობს მისი დამაინტრიგებელი კარიერის, ყოვლად გამოუსადეგარი ქუჩის ბიჭობიდან დიდ სცენაზე მოთამაშე ფეხბურთელად ჩამოყალიბებისა და იმ შეგრძნების შესახებ, რაც თითქოს აიძულებს, რომ ზღვარს გადააბიჯოს.

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

ჟოზე მაურინიო მანჩესტერ იუნაიტედს უახლოვდება

ინგლისურ პრესაში ვრცელდება ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ჟოზე მაურინიომ მანჩესტერ იუნაიტედთან თითქმის უკვე მიაღწია შეთანხმებას და მხოლოდ რამდენიმე დეტალი დარჩა მოსაგვარებელი.

ჟოზე მაურინიო დეკემბერში გაათავისუფლეს ჩელსიდან და მას შემდეგ პორტუგალიელი სპეციალისტი უგუნდოდ არის.

მანჩესტერთან კონტრაქტი 2019 წლამდეა გათვლილი და ჟოზე წელიწადში ანაზღაურების სახით 20 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიიღებს.

ჯერჯერობით, თვითონ მაურინიო ამ ყველაფერზე კომენტარს არ აკეთებს, თუმცა უახლოეს დღეებში ბევრი რამ გაირკვევა.

მანჩესტერ იუნაიტედის ამჟამინდელი თავკაცი ლუი ვან გაალი ვერ აჩვენებს სათანადო შედეგებს, ამიტომ მისი გაშვება არავისთვის მოულოდნელი არ იქნება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

•••

ქალი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, მთელი დღეები ველაპარაკები ჩემ ქმარს, ის კი ხმას არ მცემს...

– მერე, ჩემგან რა გინდათ?

– მგონი ავად არის...

– ეგ ავადმყოფობა კი არა, ნიჭია, ნიჭიიი...

•••

ცოლი სარკეში საკუთარ თავს ათვალიერებს და ხმამაღლა ამბობს:

– საშინლად გამოვიყურები, დავბერდი და გავსუქდი...

შემდეგ სავარძელში მოკალათებულ ქმარს გახედა და ეუბნება:

– შენი კომპლიმენტი გულს გამიხალისებდა.

– თვალისჩინი ჯერ არ დამკლებია, – უპასუხა ქმარმა.

•••

რესტორანში შესული კლიენტი სადილს მოითხოვს. მოუტანენ და ოფიციანტს ეკითხება:

– აჯიკა გაქვთ?

– არა.

– წიწაკა?

– არა.

– პილპილი?

– უკაცრავად, მაგრამ არც ეგ გვაქვს.

– აბა, მოდი და მიკბინე, გამწარებული მაინც შევჭამ ამ საჭმელს...

•••

კაცს სიდედრი და სიმამრი ესტუმრნენ. ღამით ყველამ ერთ ოთახში, ერთი მეორის გვერდზე დაიძინეს. კაცს ტუალეტში გავლა მოუნდა და თავის ცოლს გადააბიჯა. ქალს გაეღვიძა და ეუბნება:

– ვაიმე, რას შვრები, დედაჩემი და მამაჩემი აქ არიან!

ქმარმა გზა გააგრძელა და ახლა სიდედრს გადააბიჯა. სიდედრი ეუბნება:

– ვაიმე, მღუპავ? ქმართან და შვილთან მაგას ვერ ვიზამ!

კაცმა გზა გააგრძელა და სიმამრს მიადგა. სიმამრმა დაიყვირა:

– ე, ბიჯო, მიეცით ვინცხამ, თორემ მე მომადგა...

•••

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– შენი ქმარი, სულ ახალგაზრდა გოგონებს დასდევს კუდში.

– მასე ჩვენი მურიაც კი დასდევს ქუჩაში მანქანებს, მაგრამ რა...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოხვოხდი ›



შვეულად: 1. მონასტერი დუშეთის რაიონში; 2. სახელმწიფო აღმოსავლეთ ევროპაში; 3. ქალაქი აშშ-ში, სადაც განთავსებულია კოსმოსური კვლევის ნაციონალური ცენტრი; 4. მთვარიანი ღამე; 5. ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 8. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 9. უდიდესი ბუნებრივი ნაკრძალი აშშ-ში; 12. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 13. ახალი ათონის ძველი სახელწოდება; 16. ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილება სასამართლოში; 17. ბრიტანული მსუბუქი ავტომობილი; 19. ისტორიული ციხე-სიმაგრე მესხეთში; 20. ბალნეოლოგიური კურორტი ვანის რაიონში.

თარაზულად: 6. ძველი, იშვიათი ნივთებით მოვაჭრე; 7. რძის შაქარი; 8. რაიონული ცენტრი სვანეთში; 10. ყოველდღიური გაზეთი პორტუგალიაში; 11. ხის ქოშები; 14. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 15. თევზის საჭერი მოწყობილობა; 18. რაიმე დარგის, მეცნიერების ზოგადი, განყენებული საფუძვლები; 21. ბრილიანტის თითოეული გვერდი; 22. მდინარე გურიაში; 23. ისრაელის სახელმწიფო ენა; 24. ზღვისპირა კურორტი აჭარაში.

შეადგინა თ. კოპალეიშვილმა